



სამოქალაქო  
ინტეგრაციისა და  
ეროვნებათშორისი  
ურთიერთობების  
ცენტრი 2021

**კვლევის ანგარიში**

**რუსულენოვანი  
სკოლების  
საგანმანათლებლო  
პოზიციონირება  
მეთორმეტეკლასელთა  
შესაძლებლობებისა  
და პერსპექტივების  
ხედვის კონტექსტში**

კვლევა ჩატარდა და მისი ანგარიში გამოიცა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ. პროექტი განხორციელდა საქართველოს გაეროს ასოციაციის პროექტის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა“ ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს გაეროს ასოციაციის შეხედულებებს.

This research was conducted and the report was prepared by the Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations (CCIIR). The was conducted in the framework of the Promotion of Integration, Tolerance and Awareness (PITA) Project funded by the United States Agency for International Development (USAID) and implemented by the United Nations Association of Georgia (UNAG). The views and opinions expressed herein are entirely those of the authors and should not be attributed in any manner to the USAID and the UNAG.



**ავტორები:**

შალვა ტაბატაძე  
ნათია გორგაძე

**რედაქტორი:**

კანა გაბუნია

## სარჩევი

<b>წინათქმა .....</b>	<b>4</b>
<b>შესავალი .....</b>	<b>5</b>
<b>თავი I. რუსულენოვანი სკოლების და სექტორები საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში.....</b>	<b>6</b>
განათლების ხარისხი რუსულენოვან სკოლებში.....	9
<b>თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია.....</b>	<b>14</b>
<b>თავი 3. მეთორმეტკლასელთა გამოკითხვის შედეგები და მიგნებები.....</b>	<b>19</b>
3.1. სკოლის მოსწავლეთა მომზადება, შესაბამისობა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და 21-ე საუკუნის უნარების განვითარება.....	19
3.2. ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია, ენობრივი კომპეტენციები და ინტეგრაციის ხარისხი .....	23
3.3. სკოლის შემდგომი გეგმები .....	33
3.4 საქართველოში უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებული გეგმები და ტენდენციები ...	35
დასკვნა .....	37
<b>თავი 4: თვისებრივი კვლევის ანალიზი .....</b>	<b>39</b>
4.1. განათლების ხარისხის და მასზე მოქმედი ფაქტორები რუსულენოვან სკოლებში .....	39
4.2. მოსწავლეების ენობრივი კომპეტენციები.....	40
4.3. ეთნიკური ურთიერთობები და მრავალფეროვნების მართვა.....	41
4.4. რუსულენოვანი სკოლის არჩევანზე მოქმედი ფაქტორები და მოსწავლეების კმაყოფილება.....	43
4.5. სკოლის შემდგომი გეგმები და უმაღლესი განათლების მიღების პრიორიტეტები .....	45
დასკვნა .....	47
<b>თავი 5. მიგნებები და რეკომენდაციები .....</b>	<b>48</b>
მიგნებები.....	48
ზოგადი მიგნებები.....	48
უნარების თვითშეფასება.....	48
ეთნიკური და ლინგვისტური შემადგენლობა/ინტეგრაციის ხარისხი .....	48
ენობრივი უნარების თვითშეფასება .....	49
სკოლის შემდგომი გეგმები.....	49
რეკომენდაციები.....	51
<b>გამოყენებული ლიტერატურა.....</b>	<b>52</b>
<b>ცხრილები.....</b>	<b>53</b>
<b>დიაგრამები .....</b>	<b>ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.</b>

## წინათქმა

წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს რუსულენოვანი სკოლების პოზიციონირების თავისებურებების ანალიზს მეთორმეტკლასელების სკოლისშემდგომი განათლებისათვის მზაობისა და საკუთარი პერსპექტივის შეფასების მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური უმცირესობების განათლებისა და მრავალფეროვნების საკითხებზე სხვადასხვა კვლევაში მეტ-ნაკლებად კეთდება აქცენტები და ბოლო წლებში სხვადასხვა ორგანიზაციის თუ მეცნიერის შესწავლის საგანს წარმოადგენს, რუსულენოვანი სასკოლო განათლების, როგორც განსხვავებული საგანმანათლებლო ასპექტის პერსპექტივების შესწავლა დღემდე არ განხორციელებულა და, შესაბამისად, განათლების საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისა და აკადემიური სექტორის ინტერესის საგანს უნდა წარმოადგენდეს. კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია რუსულენოვანი სასკოლო განათლების ბოლო, დამამთავრებელ კლასში მყოფი მოსწავლეების აღქმა და მოლოდინები, მიღებულ სასკოლო განათლებასთან დაკავშირებული დამოკიდებულება და სკოლისშემდგომი განათლებისა და საქმიანობის პერსპექტივების ხედვა. კვლევაში მოცემული მიგნებები საშუალებას იძლევა, გაკეთდეს დასკვნები, რომლებიც განათლების პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებას მოითხოვს.

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ავტორების გარდა, კვლევის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე პროცესში უამრავი ადამიანი იყო აქტიურად ჩართული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მათი თავდაუზოგავი შრომის, შემართებისა და მაღალი მოტივაციის გარეშე ამ ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა და ამიტომ სავალდებულოდ მივიჩნიეთ მათთვის ჩვენი მადლიერების დაფიქსირება.

პირველ რიგში, დიდ მადლობას ვუხდით კვლევის ფინანსური მხარდაჭერისთვის საქართველოს გაეროს ასოციაციას, რომელმაც საშუალება მოგვცა, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა“ ფარგლებში კვლევა განგვხორციელებინა. ასევე, დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ ორგანიზაციის თანამშრომლებს, ელენე ჯაჯანიძეს, თამარ ანთაძეს, მარიამ ქართველიშვილს და მამუკა ჭეიშვილს დაუღალავი შრომისათვის პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ სავლე სამუშაოების, მონაცემთა შეგროვებისა და მონაცემების დამუშავებისათვის პროექტში ჩართულ სტუდენტებს. დიდი მადლობა კვლევაში მონაწილე სკოლებს, რომლებმაც მაქსიმალური მხარდაჭერა გაგვიწიეს კვლევის შეუფერხებლად განსახორციელებლად. სკოლის მასწავლებლებს და ადმინისტრაციას თვისებრივი კვლევის ფარგლებში გულახდილი და დეტალური დისკუსიისათვის. და ბოლოს, იმედს ვიტოვებთ, რომ კვლევაში წარმოჩენილი საკითხები არ დარჩება განათლების პოლიტიკის მესვეურთა, აკადემიური წრისა და დაინტერესებული სამოქალაქო საზოგადოების ყურადღების მიღმა. გვჯერა, რომ კვლევის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები და მიგნებები საინტერესო, ახალი ხედვების ჩამოყალიბებას შეიწყობს ხელს საქართველოს განათლების სისტემის ხარისხის, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისა და თანასწორობის პერსპექტივით.

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს კვლევის ანგარიშს, რომელიც ჩატარდა საქართველოში „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ საქართველოს გაეროს ასოციაციის პროექტის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ და მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობებისთვის მისაღებ გამოცდებზე შემოღებული კვოტირების სისტემის ეფექტურობის შეფასებას საქართველოში.

დოკუმენტის პირველი ნაწილი მოკლედ მიმოიხილავს რუსულენოვან სკოლებს საქართველოში, ზოგად სტატისტიკას, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართულობას, საატესტატო და მისაღების გამოცდების შედეგებს.

მეორე ნაწილში წარმოდგენილია კვლევის მეთოდოლოგია.

კვლევის მესამე ნაწილი წარმოგიდგინთ რუსულენოვანი სკოლების მეთორმეტკლასელთა მზაობის ხარისხს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად; აგრეთვე - მათს არჩევანს სკოლის შემდგომი საქმიანობის თაობაზე და ამ არჩევანის განმაპირობებელ ფაქტორებს;

მეოთხე თავში წარმოდგენილი იქნება ფოკუსჯგუფებში იდენტიფიცირებული რუსულენოვანი სკოლებისთვის აქტუალური საკითხები ხარისხიანი განათლების, სკოლის შემდგომი პერსპექტივებისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და ჩართულობის თვალსაზრისით.

კვლევის მეხუთე თავში წარმოგიდგინთ კვლევის შედეგებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რუსულენოვანი სკოლების რეფორმირებას და ამ სკოლების კურსდამთავრებულთა სამოქალაქო ინტეგრაციასა და ჩართულობას.

## **თავი I. რუსულენოვანი სკოლები და სექტორები საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში**

საქართველოს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2020 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 58 რუსულენოვანი სკოლა და სექტორია. მათგან თერთმეტია სკოლა, ხოლო 47 - რუსულენოვანი სექტორი. სკოლებისა და სექტორების უმრავლესობა (80%) საქალაქო დასახლებებშია განლაგებული, ხოლო 20% - სასოფლო დასახლებებში, მათ შორის - მაღალმთიან დასახლებებში. ეს მნიშვნელოვნად განმასხვავებელი ნიშანია სხვა არაქართულენოვანი სკოლებისგან, რომელთა დიდი უმეტესობა სწორედ სასოფლო და მაღალმთიან დასახლებაშია განლაგებული (ტაბატაძე, გორგაძე, გაბუნია, 2020).

	სულ	ქალაქი	სოფელი	მათ შორის მაღალმთიანი
<b>რუსულენოვანი სკოლები და სექტორები</b>	58	46	12	9

**ცხრილი 1. რუსულენოვანი სკოლები და სექტორები ადგილმდებარეობის მიხედვით**

მოსწავლეთა რაოდენობას რაც შეეხება - 14 060 მოსწავლე სწავლობდა რუსულენოვან სკოლებში. ბიჭები მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 52.5% წარმოადგენენ, ხოლო გოგონები - 47.5%.

მოსწავლეების რაოდენობა რუსულენოვან სკოლებში			
კლასი	ბიჭი	გოგო	სულ
I კლასი	715	675	1390
II კლასი	784	679	1463
III კლასი	766	644	1410
IV კლასი	741	726	1467
V კლასი	629	580	1209
VI კლასი	679	518	1197
VII კლასი	680	613	1293
VIII კლასი	396	345	741
IX კლასი	589	533	1122
X კლასი	571	540	1111
XI კლასი	409	419	828
XII კლასი	426	403	829
	<b>7385</b>	<b>6675</b>	<b>14060</b>

**ცხრილი 2. რუსულენოვანი სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა კლასების და სქესის მიხედვით**

**რუსულენოვანი სკოლების საგანმანათლებლო პროცესის რეგულირება მეტორმეტკლასელთა შესაძლებლობებისა და პერსპექტივების ხედვის კონტექსტში 2020-21**

რუსულენოვანი სკოლები და სექტორები რეგიონების მიხედვითაც მთელი საქართველოს მასშტაბით არის განლაგებული და გვხვდება თბილისში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, სამეგრელო-ზემო-სვანეთში, იმერეთსა და აჭარაში.

<b>ცხრილი 3. რუსულენოვანი სკოლები და სექტორები რეგიონების მიხედვით</b>		
<b>რეგიონი</b>	<b>სკოლები</b>	<b>სექტორები</b>
თბილისი	2	21
სამცხე-ჯავახეთი	4	2
ქვემო ქართლი	4	10
კახეთი	1	3
იმერეთი	0	1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0	2
აჭარა	0	8
<b>სულ:</b>	<b>11</b>	<b>47</b>

რაც შეეხება მოსწავლეთა გადანაწილებას რეგიონების მიხედვით, ის მიუყვება სკოლების გადანაწილებას რეგიონების მიხედვით. რუსულენოვან სკოლებში მოსწავლეების უმრავლესობა (45%-ზე მეტი) თბილისის რუსულენოვან სკოლებში სწავლობს, ქვემო ქართლში - მოსწავლეთა 25.8%, მაღალია რუსულენოვან სკოლებში მოსწავლეთა კონცენტრაცია აჭარაშიც. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში დეტალურადაა მოცემული ინფორმაცია რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეთა გადანაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით.

**ცხრილი 4. რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით**

<b>რეგიონი</b>	<b>რაოდენობა</b>	<b>პროცენტი</b>
თბილისი	6428	45.70%
ქვემო ქართლი	3612	25.70%
აჭარა	2084	14.80%
სამცხე-ჯავახეთი	1161	8.30%
სამეგრელო-ზემო-სვანეთი	382	2.70%
იმერეთი	290	2.10%
კახეთი	103	0.70%
<b>სულ:</b>	<b>14060</b>	<b>100%</b>

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი - მოსწავლეთა საფეხურებს შორის განაწილება: რუსულენოვან სკოლებში საშუალო საფეხურზე (10-12 კლასები) სწავლობს მოსწავლეთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 19.7 %, დაწყებით საფეხურზე - 57.9 % და 22.4% საბაზო საფეხურზე, რაც თანხვედრაშია საქართველოში არსებულ ზოგად მაჩვენებელთან, რომელიც წარმოადგენს



**რუსულენოვანი სკოლების საგანმანათლებლო პოზიციონირება მეტორმეტკლასელთა შესაძლებლობებისა და პერსპექტივების ხედვის კონტექსტში 2020-21**

საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 20.60%, დაწყებითის 54.0 %-ს და საბაზო - 25.4%-ს (ტაბატაძე, 2020). შესაბამისად, ამ მონაცემებით, რუსულენოვანი სკოლების მიღწევადობა და მოსწავლეთა რაოდენობის კლება არ იკვეთება. პირიქით, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა რაოდენობრივი პროპორცია აღემატება საქართველოში არსებულ საერთო მაჩვენებელს.

**ცხრილი 5. რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა საფეხურების მიხედვით**

<b>დაწყებითი</b>	<b>8136</b>	<b>57.90%</b>
<b>საბაზო</b>	3156	22.40%
<b>საშუალო</b>	2768	19.70%
<b>სულ:</b>	<b>14060</b>	<b>100%</b>

რუსულენოვან სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის ზრდაზე მიუთითებს მოსწავლეთა რაოდენობის შედარება 2019 -2020 აკადემიურ წელსა და 2020-2021 აკადემიურ წლებს შორის. რაოდენობა გაზრდილია წინა აკადემიურ წელთან შედარებით და იგი რუსულენოვან სკოლებში გაცილებით მეტად იზრდება, ვიდრე სომხურენოვან ან აზერბაიჯანულენოვან სკოლებში (ტაბატაძე, 2020). დეტალებისთვის იხილეთ მე-4 ცხრილი, სადაც წარმოდგენილია წინა და მიმდინარე აკადემიურ წლებში მოსწავლეთა რაოდენობების განსხვავება სწავლების ენის მიხედვით:

**ცხრილი 6. მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილება 2019 დან 2020 წლებში სწავლების ენის მიხედვით (ცხრილი აღებულია - ტაბატაძე, 2020)**

<b>სწავლების ენა</b>	<b>2019</b>	<b>2020</b>	<b>ზრდა/კლება</b>
სომხურენოვანი	13374	13132	-242
აზერბაიჯანულენოვანი	25443	24954	-489
რუსულენოვანი	12920	14060	1140
<b>სულ:</b>	<b>51737</b>	<b>52146</b>	<b>409</b>

საინტერესოა, რომ რუსულენოვანი სკოლებისა და სექტორების რაოდენობა იკლებს დინამიკაში 2009 წლიდან 2014 წლამდე, ხოლო 2014 წლიდან ის სტაბილურია. 2009-2014 წლებში რუსულენოვანი სკოლებისა და სექტორების დახურვამ მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნა განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით (შეფასების დოკუმენტი, 2014) მიუხედავად სკოლებისა და სექტორების რაოდენობის შემცირებისა, დარჩენილ სკოლებსა და სექტორებში, როგორც უკვე აღნიშნა რუსულენოვან სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა არ მცირდება. წლების მიხედვით რუსულენოვანი სკოლებისა და სექტორების რაოდენობის დინამიკა ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილშია ასახული.

**რუსულენოვანი სკოლების საგანმანათლებლო პოზიციონირება მეთორმეტკლასელთა შესაძლებლობებისა და პერსპექტივების ხედვის კონტექსტში 2020-21**

**ცხრილი 7. რუსულენოვანი სკოლები და სექტორები წლების მიხედვით**

<b>წელი</b>	<b>რუსულენოვანი სკოლები</b>	<b>რუსულენოვანი სექტორები</b>
<b>2009</b>	14	135
<b>2011</b>	12	61
<b>2014</b>	11	41
<b>2020</b>	11	47

**განათლების ხარისხი რუსულენოვან სკოლებში**

განათლების ხარისხის შესაფასებლად ბევრი ინსტრუმენტი არ არსებობს, თუმცა, ამ შემთხვევაში რუსულენოვან სკოლებში განათლების ხარისხთან დაკავშირებით არსებული ვითარების შესაფასებლად რამდენიმე ინდიკატორს დავყვრდნობით, კერძოდ: (ა) საატესტატო გამოცდებში ნაჩვენები შედეგები; (ბ) მისაღებ გამოცდებზე ზოგადი უნარების ტესტებში ნაჩვენები შედეგები; (გ) საერთაშორისო შეფასებებში რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეების მიერ ნაჩვენები შედეგები.

საატესტატო გამოცდები, რომელიც 2011 წლიდან იმართებოდა და რომელიც გაუქმდა 2018 წელს, რამდენიმე საინტერესო ინფორმაციას გვაძლევს განათლების ხარისხთან დაკავშირებით, კერძოდ, საატესტატო გამოცდებზე ჩაჭრილთა პროცენტი საკმაოდ მაღალი იყო როგორც ქართულენოვან ასევე არაქართულენოვან სკოლებში; საშუალო ქულები საგნებში საკმაოდ დაბალი იყო იმ მოსწავლეებში, ვინც მინიმალური ზღვარი გადალახა. სწორედ ამ თვალსაზრისით, საინტერესოა განვიხილოთ ბოლო წლებში რუსულენოვან სკოლებში არსებული ვითარება.

საინტერესოა, რომ საატესტატო გამოცდებში ჩაჭრილ მოსწავლეთა პროცენტი საკმაოდ მაღალია არაქართულენოვან სკოლებში. თუ, მაგალითად, 2017 წლების მონაცემებს ავიღებთ, არაქართულენოვანი სკოლის 2593-მა კურსდამთავრებულმა ჩააბარა წარმატებით საატესტატო გამოცდები და მიიღო ზოგადი განათლების დასრულების დამადასტურებელი ატესტატი, თუმცა, გამოცდაზე გავიდა 4706 მოსწავლე. ანუ არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულთა 44,9%-მა ვერ შეძლო საატესტატო გამოცდების ყველა საგნის დაძლევა და ატესტატის მიღება (ტაბაბაძე, 2018; გორგაძე და ტაბაბაძე, 2019). საინტერესოა ამ თვალსაზრისით რუსულენოვანი სკოლების მოსწავლეთა შედეგების ანალიზი. თუ მონაცემებს სწავლების ენის მიხედვით გავაანალიზებთ, რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეთა შედეგები ყველაზე კარგია, რადგან მხოლოდ 22% დარჩა ატესტატის გარეშე, იმ დროს, როცა ეს მაჩვენებელი სომხურენოვან მოსწავლეებში 43%-ს აღწევს, ხოლო აზერბაიჯანულენოვან სკოლებში - 60%-ს. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში დეტალურად არის წარმოდგენილი ეს ინფორმაცია.

**რუსულენოვანი სკოლების საგანმანათლებლო პროცესის რეორგანიზაცია მეტორმეტკლასელთა შესაძლებლობებისა და პერსპექტივების ხედვის კონტექსტში 2020-21**

**ცხრილი 8. ატესტაციის მიღებული მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებელი სწავლების ენის მიხედვით (ცხრილი აღებულია ტაბატაძე, 2018)**

სწავლების ენა	ატესტატი მიიღო	გამოცდაზე გავიდა	% ატესტატი მიღებულთა
აზერბაიჯანული	838	2057	<b>40.70%</b>
სომხური	866	1512	<b>57.30%</b>
რუსული	889	1137	<b>78.20%</b>
<b>სულ</b>	<b>2593</b>	<b>4706</b>	<b>55.10%</b>

საერთო მაჩვენებლის მიღმა, საინტერესოა საგნების მიხედვით არსებული მდგომარეობა და ჩაჭრის მაჩვენებლები საგნებისა და სწავლების ენის მიხედვით; ამ თვალსაზრისით რუსულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულებში არსებული მდგომარეობა უკეთესია. მაგალითისთვის, თუ ავიღებთ 2015-2018 წლების მონაცემებს მე-12 კლასელებს შორის, გამოსაშვებმა გამოცდებმა აჩვენა განსხვავება საგნების მიხედვით ჩაჭრის მაჩვენებლებში, თუმცა თვალსაჩინოა, რომ ყველა საგანში რუსული სკოლის კურსდამთავრებულთა ჩაჭრის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია როგორც უმცირესობათა სწავლების ენის, ასევე საქართველოს საერთო მაჩვენებელთან შედარებით.

**ცხრილი 9. გამოცდებზე მე-12 კლასში ჩაჭრილთა პროცენტული მაჩვენებელი (2015-18 წწ.) (ცხრილი აღებულია - ტაბატაძე, 2018)**

საგანი/სწავლების ენა	აზერბაიჯანული	სომხური	რუსული	საერთო საქართველო
ქიმია	10%	5,6 %	1,33%	14.00%
მათემატიკა	27.40%	25,0%	8,5%	12.00%
უცხო ენა	35.00%	5,0%	6,2%	12.50%
ქართული	19.70%	9,5%	2,7%	2.70%
ისტორია	6.40%	4,7%	1,4%	3.90%
ფიზიკა	44,00 %	40,3%	38,00%	47.20%
ბიოლოგია	23.80%	17,1%	14,6%	32.90%
გეოგრაფია	19.80%	13,2%	8,9%	16.50%
რუსული	47.44%	14,9%		

ანალოგიური სურათი იკვეთება მე-11 კლასის საატესტატო გამოცდებშიც. მე-11 კლასის საატესტატო გამოცდებში ჩაჭრილთა თვალსაზრისითაც საკმაოდ სავალალო ვითარება

**რუსულენოვანი სკოლების საგანმანათლებლო პროცესის რეორგანიზაცია მეტორმეტეკლასელთა შესაძლებლობებისა და პერსპექტივების ხედვის კონტექსტში 2020-21**

იკვებება - განსაკუთრებით ფიზიკის საგანთან დაკავშირებით, თუმცა ბიოლოგიისა და ქიმიის საგნებშიც არ ჩანს სახარბიელო შედეგები.

**ცხრილი 10. გამოცდებზე მე- 11 კლასში ჩაჭრილთა პროცენტული რაოდენობა (2015-18 წწ.) (ცხრილი აღებულია ტაბატაძე, 2018)**

საგანი/სწავლების ენა	აზერბაიჯანული	სომხური	რუსული	საერთო საქართველო
გეოგრაფია	9.30%	4.50%	1.20%	1.80%
ფიზიკა	30.40%	25.20%	12.60%	10.50%
ბიოლოგია	12%	9.50%	2.55%	4.40%

ჩაჭრილთა პროცენტული მონაცემის მიღმა, საინტერესოა კონკრეტულ საგნებში მიღებული ქულების საშუალო მაჩვენებლები სწავლების ენის მიხედვით. საერთო საშუალო ქულის მიხედვითაც უმცირესობათა სკოლებს შორის, რუსულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულებს ყველა საგანში (გარდა უცხო ენისა) შედარებით მაღალი ქულები აქვთ სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვანი სკოლის მეტერთმეტე და მეტორმეტეკლასელებთან შედარებით. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი დეტალურ ინფორმაციას გვაძლევს ამ თვალსაზრისით.

**ცხრილი 11. 2015-2017 წწ. მე-12 კლასელთა საშუალო ქულა საგნების მიხედვით (ცხრილი აღებულია ტაბატაძე, 2018)**

საგანი/სწავლების ენა	აზერბაიჯანული	სომხური	რუსული
ქიმია	6.79000	7.09000	7.91000
მათემატიკა	6.26000	6.37000	7.31000
უცხო ენა	5.72000	6.74000	6.72000
ქართული	6.84000	7.42000	9.03000
ისტორია	6.72000	6.90000	7.57000
<b>ფიზიკა</b>	<b>5.68000</b>	<b>5.79000</b>	<b>5.87000</b>
ბიოლოგია	6.01000	6.23000	6.45000
გეოგრაფია	6.25000	6.71000	7.19000
რუსული	5.92	6.65	

**რუსულენოვანი სკოლების საგანმანათლებლო პროცესის რეორგანიზაცია მეორე რეკლასული  
შესაძლებლობებისა და პერსპექტივების ხედვის კონტექსტში 2020-21**

**ცხრილი 12. 2015-2017 წწ. მე-11 კლასული საშუალო ქულა საგნების მიხედვით**

საგანი/სწავლების ენა	აზერბაიჯანული	სომხური	რუსული
გეოგრაფია	6.82	7.26	7.88
ფიზიკა	<b>6.01</b>	<b>6.1</b>	<b>6.54</b>
ბიოლოგია	6.78	6.66	7.28

რუსულენოვან სკოლებში განათლების ხარისხის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესაფასებლად, შესაძლოა, მისაღებ გამოცდებზე ზოგადი უნარების გამოცდის შედეგებიც გამოვიყენოთ, რომელიც სავალდებულო გამოცდათა ნუსხაში შედიოდა 2019 წლამდე ყველა აბიტურიენტისთვის და, ამასთანავე, წარმოადგენდა ერთადერთ გამოცდას, რომელსაც სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტები აბარებდნენ (გორგაძე და ტაბატაძე, 2019; ტაბატაძე და გორგაძე 2017; ტაბატაძე და გორგაძე, 2016). შესაბამისად, საინტერესოა გავანალიზოთ 2015-2018 წლებში გამოცდის ენის მიხედვით ზოგად უნარების გამოცდაში დაფიქსირებული შედეგები. თუკი ამ მონაცემებს გავანალიზებთ, ვნახავთ, რომ რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეებს ოდნავ უკეთესი შედეგი აქვთ, ვიდრე ზოგადი უნარების ქართულ ენაზე ჩამბარებულ აბიტურიენტებს და მკვეთრად უკეთესი შედეგები აქვთ სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებთან შედარებით. ეს მაჩვენებელიც მიუთითებს რუსულენოვან სკოლებში სწავლების ხარისხის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას. დეტალური ინფორმაცია 2015-2018 წლებში ზოგადი უნარების გამოცდაზე ნაჩვენები საშუალო შედეგის შესახებ (გამოცდის ენის მიხედვით) წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

**ცხრილი 13. ზოგადი უნარების საშუალო ქულა წლებისა და ტესტის ენის მიხედვით 2015-18 წლები**


წელი	ქართულენოვანი	რუსულენოვანი	სომხურენოვანი	აზერბაიჯანულენოვანი
2015	39.594676	41.074020	28.638676	27.525450
2016	38.561704	38.402685	31.586873	27.923746
2017	39.911807	41.782924	31.965928	28.012873
2018	41.080876	40.832232	32.729964	30.529214

ტაბატაძე, გორგაძე, გაბუნია 2020

ანალოგიური სურათი იკვეთებოდა მისაღებს გამოცდებზე სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტებისთვის 2010 წელს შემოღებული კოტირების სისტემის საწყის წლებში, კერძოდ, 2010-2013 წლების მონაცემებს თუ გავანალიზებთ, ზოგადი უნარების ტესტში შედეგების მიხედვით, თვალსაჩინოა, რომ რუსულენოვანი გამოცდის ჩამბარებულ აბიტურიენტებს მკვეთრად უკეთესი შედეგები აქვთ სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე ზოგადი უნარების ტესტებზე ჩამბარებულ აბიტურიენტებთან შედარებით და უსწრებენ ქართულენოვან აბიტურიენტებსაც ოთხივე წლის (2010, 2011, 2012, 2013) მონაცემით. ქვემოთ მოყვანილი გრაფიკი დეტალურ ინფორმაციას იძლევა აღნიშნული მდგომარეობის შესახებ.

**რუსულენოვანი სკოლების საგანმანათლებლო პოზიციონირება მეთორმეტკლასელთა შესაძლებლობებისა და პერსპექტივების ხედვის კონტექსტში 2020-21**

**დიაგრამა 1. ზოგადი უნარების საშუალო ქულა წლებისა და ტესტის ენის მიხედვით 2010-13 წლები**



ტაბატაძე და გორგაძე, 2013

საერთაშორისო შეფასებებში არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეების ჩართვა 2015 წლიდან დაიწყო. თუ შემდგომ ჩატარებულ კვლევებს ავიღებთ, თვალსაჩინოა, რომ პიზას 2015 და 2018 წლების მონაცემებით რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეებს მაღალი მაჩვენებელი აქვთ. ისინი მკვეთრად უსწრებენ აზერბაიჯანულენოვან სკოლების მოსწავლეებს 2015 წლის შეფასებით და ოდნავ ჩამორჩებიან ქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებს. რაც შეეხება 2018 წელს - რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეებს უკეთესი შედეგები აქვთ როგორც ქართულენოვან, ასევე - აზერბაიჯანულენოვანი სკოლის მოსწავლეებთან შედარებით როგორც კითხვაში, ასევე - მათემატიკასა და ბუნებისმცოდნეობაში. ამასთანავე, თუ საქართველოს საერთო მაჩვენებელი 2018 წელს გაუარესდა 2015 წელთან შედარებით, ისევე, როგორც გაუარესებული აქვთ აზერბაიჯანულენოვან და ქართულენოვან მოსწავლეებს 2018 წლის მაჩვენებლები, რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეებში პროგრესი თვალსაჩინოა. დეტალური ინფორმაცია ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი:

**ცხრილი 14. საერთაშორისო შეფასებებში მოსწავლეთა მიღწევები სწავლების ენის მიხედვით**

მიმართულება	ენა	PISA 2015	PISA 2018
კითხვა	ქართული	407	384
	რუსული	402	399
	აზერბაიჯანული	282	287
მათემატიკა	ქართული	409	401
	რუსული	392	422
	აზერბაიჯანული	302	309
ბუნებისმცოდნეობა	ქართული	415	386
	რუსული	407	404
	აზერბაიჯანული	321	290

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეთა მიღწევები შესამჩნევად მაღალია, როგორც საატესტატო, ასევე მისაღები გამოცდების ზოგადი უნარებისა და საერთაშორისო შეფასებების მიხედვით.



## თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია

### კვლევის მიზანი და ამოცანები

წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავდა უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობებისთვის 2010 წლიდან შემოღებული საშეღვათო პოლიტიკის ეფექტურობის შესწავლას რუსულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულებთან დაკავშირებით, კონკრეტულად კი - კვლევის შედეგად მივიღებდით ამომწურავ ინფორმაციას საშეღვათო პოლიტიკის შემადგენელი შემდეგი საკითხების ირგვლივ:

- (ა) რამდენად სარგებლობენ რუსულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულები კვოტირების სისტემით;
- (ბ) რა აკადემიური და კარიერული გეგმები აქვთ რუსულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულებს ზოგადი განათლების საფეხურის დასრულების შემდგომ;
- (გ) რომელი ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებია რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეთა არჩევანი და რა განაპირობებს ქართულ თუ საზღვარგარეთის ქვეყნებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შერჩევას;
- (დ) რამდენად ამზადებს თანამედროვე რუსულენოვანი საჯარო სკოლა მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისად;
- (ე) რა ენობრივი კომპეტენციები აქვთ განვითარებული მოსწავლეებს რუსულენოვან საჯარო სკოლის მოსწავლეებს სკოლის დასრულებისას;
- (ვ) რამდენად განსხვავდება ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რუსულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულთა სამომავლო გეგმები, კვოტირების სისტემით სარგებლობის შესაძლებლობები?
- (ზ) რამდენად განსხვავდება თბილისისა და სხვა რეგიონების სკოლის კურსდამთავრებულთა სამომავლო გეგმები, კვოტირების სისტემით სარგებლობის შესაძლებლობები?
- (თ) რა ფაქტორები განაპირობებს რუსულენოვან სკოლაზე არჩევანს? რა განსხვავებებია ამ თვალსაზრისით რეგიონებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის

### კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები

კვლევის ამოცანიდან გამომდინარე, კვლევის მეთოდოლოგია აერთიანებს კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს; კერძოდ, კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა შემდეგი ინსტრუმენტები:

- 1) რუსულენოვანი სკოლების მე-12 კლასის მოსწავლეთა გამოკითხვა; 2) რუსულენოვანი სკოლების მე-12 კლასელთა ფოკუსჯგუფი; (3) რუსულენოვანი სკოლის მასწავლებელთა ფოკუსჯგუფი; (4) რუსულენოვანი სკოლის მასწავლებელთა ფოკუსჯგუფი; (5) სამაგიდე კვლევა და სტატისტიკური ანალიზი.

**მეთორმეტე კლასის მოსწავლეთა გამოკითხვა**

**შერჩევა**

შერჩევა ცალ-ცალკე განხორციელდა რუსულენოვანი სკოლებისთვის ქვემო ქართლში, ცალკე - სამცხე-ჯავახეთში. ცალკე - თბილისსა და დიდ ქალაქებში, რათა შესაძლებელი ყოფილიყო რეგიონებს შორის, ასევე დედაქალაქს და რეგიონებს შორის განსხვავების იდენტიფიცირება. ეს მიდგომა შეირჩა აგრეთვე შედეგების კონკრეტულ რეგიონების დონზე განზოგადების მიზნით. რუსულენოვანი სკოლების მეთორმეტე კლასის მოსწავლეთა შერჩევა გაკეთდა სკოლებისა და პოპულაციის გათვალისწინებით.

რუსულენოვანი სკოლების მეთორმეტეკლასელთა რაოდენობა 2020-2021 სასწავლო წელს შეადგენდა 803 მოსწავლეს (EMIS, 2021), რომელთაგან 414 მოსწავლე სწავლობს თბილისის სკოლებში, 165 მოსწავლე სხვა რეგიონების სკოლებში კერძოდ კი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო-სვანეთი, კახეთი და აჭარა), 168 მოსწავლე ქვემო ქართლის ქალაქებისა და სოფლის სკოლებში და 56 მოსწავლე სამცხე-ჯავახეთის ქალაქისა და სოფლის სკოლებში. შერჩევა განხორციელდა ორ-ეტაპიანი პრინციპით, სადაც პირველი ეტაპს წარმოადგენდა კლასტერის იდენტიფიცირება (თბილისი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, დანარჩენი რეგიონები), ხოლო მოსწავლეების შერჩევა კი მოხდა მოხერხებული შერჩევის პრინციპით, სადაც შერჩევის სანდოობა იყო 90%, ხოლო ცდომილების მარჯა კი, 0.5. ამასთან, განისაზღვრა 30-კაციანი ბუფერი არავალიდური კითხვარების ჩანაცვლების შესაძლებლობისათვის. საბოლოო ჯამში, გამოთვლილი 418 კითხვარის მაგივრად, სრულყოფილად შეივსო 438 კითხვარი, რომელიც კლასტერებს შორის გადანაწილდა ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით.

		თბილისი	სხვა ქალაქები	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	სულ
<b>მე-12 კლასელთა პოპულაცია</b>	<b>საერთო პოპულაცია</b>	<b>414</b>	<b>165</b>	<b>168</b>	<b>56</b>	<b>803</b>
<b>შერჩეული მოსწავლეები</b>		<b>182</b>	<b>94</b>	<b>115</b>	<b>47</b>	<b>438</b>

**ცხრილი 15. მე-12 კლასელების პოპულაცია და შერჩევა რეგიონების მიხედვით**

რაც შეეხება სკოლების დონეს, კვლევისთვის საბოლოო ჯამში შეირჩა 32 სკოლა, საიდანაც, 10 სკოლა თბილისშია განთავსებული, 9 - ქვემო ქართლში, 5 სამცხე-ჯავახეთში, 3 - აჭარაში, 2 - სამეგრელო-ზემო სვანეთში, 2 - კახეთში და ერთი - იმერეთში.



**რუსულენოვანი სკოლების საგანმანათლებლო პოზიციონირება მეთორმეტკლასელთა  
შესაძლებლობებისა და პერსპექტივების ხედვის კონტექსტში 2020-21**

ადგილმდებარეობა	გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა	სკოლები
თბილისი	182	<ol style="list-style-type: none"> <li>1. თბილისის №64 საჯარო სკოლა</li> <li>2. თბილისის №132 საჯარო სკოლა</li> <li>3. თბილისის №105 საჯარო სკოლა</li> <li>4. თბილისის №136 საჯარო სკოლა</li> <li>5. თბილისის №142 საჯარო სკოლა</li> <li>6. თბილისის №146 საჯარო სკოლა</li> <li>7. თბილისის №79 საჯარო სკოლა</li> <li>8. თბილისის №81 საჯარო სკოლა</li> <li>9. თბილისის №96 საჯარო სკოლა</li> <li>10. თბილისის №98 საჯარო სკოლა</li> </ol>
იმერეთი	11	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ქუთაისის №13 საჯარო სკოლა</li> </ol>
სამეგრელო/ზემო სვანეთი	24	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სენაკის №1 საჯარო სკოლა</li> <li>2. ფოთის №4 საჯარო სკოლა</li> </ol>
აჭარა	43	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ქობულეთის #2 სკოლა.</li> <li>2. ბათუმის №7 საჯარო სკოლა</li> <li>3. ჩაქვის №1 საჯარო სკოლა</li> </ol>
სამცხე-ჯავახეთი	47	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ნინოწმინდის №2 საჯარო სკოლა</li> <li>2. ახალციხის №2 საჯარო სკოლა</li> <li>3. ახალქალაქის №2 საჯარო სკოლა</li> <li>4. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის №1 საჯარო სკოლა</li> <li>5. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ტამბოვკის საჯარო სკოლა</li> </ol>
ქვემო ქართლი	115	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანის №2 საჯარო სკოლა</li> <li>2. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულარის საჯარო სკოლა</li> <li>3. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შულავერის №2 საჯარო სკოლა</li> <li>4. მარნეულის №2 საჯარო სკოლა</li> <li>5. მარნეულის №4 საჯარო სკოლა</li> <li>6. მარნეულის №6 საჯარო სკოლა</li> <li>7. ქალაქ რუსთავის №12 საჯარო სკოლა</li> <li>8. ქალაქ გარდაბნის №4 საჯარო სკოლა</li> <li>9. ქალაქ რუსთავის №3 საჯარო სკოლა</li> </ol>
კახეთი	10	<ol style="list-style-type: none"> <li>1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლა</li> <li>2. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის საჯარო სკოლა</li> </ol>
<b>სულ</b>	<b>438</b>	

**ცხრილი 16. მე-12 კლასელების შერჩეული პოპულაცია სკოლების მიხედვით**

**მე-12 კლასელ მოსწავლეთა გამოკითხვა**

საველე სამუშაოებისათვის შეირჩა ინტერვიუერთა ჯგუფი. შერჩევა დაეფუძნა სამ ძირითად კრიტერიუმს: ა) ინტერვიუერად მუშაობის გამოცდილება; ბ) რეგიონებში მუშაობის გამოცდილება; გ) სახელმწიფო და რუსული ენების ფლობა. სულ შეირჩა 29 ინტერვიუერი. გარდა ამისა, CCIIIR-ის თანამშრომლები ჩაერთვნენ პროცესში. გამოკითხვის მცირედი ნაწილი ჩატარდა დისტანციურად, GOOGLE Form-თვის ადაპტირებული ონლაინ კითხვარის გამოყენებით. .

კითხვარი შემუშავდა საანგარიშო პერიოდში. კითხვარი მოიცავს დემოგრაფიულ ნაწილს და შვიდ სექციას: ა) ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან დაკავშირებული უნარები (ბ) ენობრივი სექცია გ) რუსული სკოლის არჩევანი; დ) სკოლისშემდგომი პერსპექტივები; ე) კითხვები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქართველოში ჩამბარებლებისთვის (ვ) კითხვები პროფესიულ კოლეჯში საქართველოში ჩამბარებლებისთვის; (ზ) კითხვები საქართველოს ფარგლებს გარეთ უმაღლესში ან პროფესიულ კოლეჯში ჩამბარებლებისათვის

**2. რუსულენოვანი სკოლების მე-12 კლასელთა ფოკუსჯგუფი (ფჯ)**

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დაიგეგმა მოსწავლეების შერეული ფოკუსჯგუფი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 16-მა მოსწავლემ თბილისის, რუსთავის, მარნეულის, ფოთის, ბათუმის, ახალქალაქის და ახალციხის სკოლებიდან. მოსწავლეების შერჩევა მოხდა თითოეულ კლასტერში მოსწავლეების საერთო რაოდენობიდან 15-20 მოსწავლის ალბათური შერჩევის პრინციპით. შერჩევის მეორე ეტაპზე, მოხერხებული შერჩევის პრინციპით, ფოკუსჯგუფისათვის შეირჩა 16 მოსწავლე, რომლებმაც სატელეფონო დაკავშირებისას გამოსატყის მონაწილეობის სურვილი.

**3. რუსულენოვანი სკოლის მასწავლებელთა ფოკუსჯგუფი;**

მასწავლებელთა ფოკუსჯგუფისათვის, შეირჩა თითოეული კლასტერიდან არაშემთხვევითი პრინციპით 5 მასწავლებელი მშობლიური ენის, ქართული, როგორც მეორე ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით. თითოეული ჯგუფიდან, მოხერხებული შემთხვევის პრინციპით შეირჩა ორ-ორი მასწავლებელი, ისე, რომ საერთო ჯამში ყველა საგნის და საგნობრივი მიმართულების მასწავლებელი ყოფილიყო ფოკუსჯგუფში წარმოდგენილი. ფოკუსჯგუფში მონაწილეობა მიიღო 10 მასწავლებელმა.

**4. რუსულენოვანი სკოლის დირექტორთა ფოკუსჯგუფი**

დირექტორების ფოკუსჯგუფში მონაწილეების შერჩევა მოხდა კლასტერების მიხედვით მოხერხებული შერჩევის პრინციპით. სულ შეირჩა 5 დირექტორი თითოეული კლასტერიდან.

### 5. სამაგიდე კვლევა და სტატისტიკური ანალიზი

სამაგიდე კვლევის ფარგლებში გაანალიზდა განათლების პოლიტიკის დოკუმენტაცია, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია და ბაზები. სამაგიდე კვლევის ფარგლებში შემდეგი მიმართულების საკითხების ანალიზზე გაკეთდა აქცენტები:

- (ა) რამდენად სარგებლობენ რუსულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულები კვოტირების სისტემით;
- (ბ) რა აკადემიური და კარიერული გეგმები აქვთ რუსულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულებს ზოგადი განათლების საფეხურის დასრულების შემდგომ;
- (გ) რომელი ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებია რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეთა არჩევანი და რა განაპირობებს ქართულ თუ საზღვარგარეთის ქვეყნებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შერჩევას;
- (დ) რამდენად ამზადებს თანამედროვე რუსულენოვანი საჯარო სკოლა მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისად;
- (ე) რა ენობრივი კომპეტენციები აქვთ განვითარებული მოსწავლეებს რუსულენოვან საჯარო სკოლის მოსწავლეებს სკოლის დასრულებისას;
- (ვ) რამდენად განსხვავდება ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რუსულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულთა სამომავლო გეგმები, კვოტირების სისტემით სარგებლობის შესაძლებლობები?
- (ზ) რამდენად განსხვავდება თბილისისა და სხვა რეგიონების სკოლის კურსდამთავრებულთა სამომავლო გეგმები, კვოტირების სისტემით სარგებლობის შესაძლებლობები?
- (თ) რა ფაქტორები განაპირობებს რუსულენოვან სკოლაზე არჩევანს? რა განსხვავებებია ამ თვალსაზრისით რეგიონებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის

### მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

კვლევის მიზნიდან და საპილოტე კითხვარებიდან მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, გარდა აღწერილი ანალიზისა, რაოდენობრივი ჭრილის ანალიზისათვის გამოყენებული იქნა სიხშირეთა პარამეტრი სხვადასხვა მონაცემთა შედარების ჭრილში. რაოდენობრივი მონაცემები დამუშავდა SPSS პროგრამის საშუალებით. თვისებრივი მონაცემების ტრანსფორმირება მოხდა ტრანსკრიპტების საშუალებით, რომელთა საფუძვლიანი გაანალიზებისათვის გამოვიყენეთ „ატლასი“. საბოლოო დასკვნები დაეფუძნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევიდან მიღებული მონაცემების ტრიანგულაციის პრინციპზე დაფუძნებულ ანალიზს.

### თავი 3. მეთორმეტკლასელთა გამოკითხვის შედეგები და მიგნებები

მეთორმეტკლასელთა გამოკითხვით, გვსურდა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გაგვეცა პასუხი, კერძოდ, ამ მიმართულებით შემდეგი საკითხების შესწავლა განისაზღვრა:

ა) რამდენად მიიღწევა რუსულენოვან სკოლებში ზოგადი განათლების მიზნები?

ბ) მოსწავლეთა თვითშეფასებით, რა ენობრივ კომპეტენციებს ფლობენ რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეები?

გ) მოსწავლეთა თვითშეფასებით, რა სოციალური უნარები აქვთ განვითარებული რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეებს?

დ) როგორია რუსულენოვანი სკოლების მეთორმეტკლასელთა ეთნიკური თვითიდენტიფიცირება;

ე) რა არჩევანი აქვთ სკოლის დამთავრების შემდგომ რუსულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულებს?

ვ) რამდენად განსხვავებულია სკოლისშემდგომი არჩევანი სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, თბილისის და სხვა ქალაქების რუსულენოვანი სკოლების მეთორმეტკლასელებში?

ზ) რა ფაქტორები განაპირობებს მათ სკოლისშემდგომ არჩევანს?


როგორც კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილში დეტალურად აღვწერეთ, ამ საკითხებზე პასუხის გასაცემად შევიმუშავეთ კითხვარი და გამოკითხეთ რუსულენოვანი სკოლების 438 მეთორმეტკლასელი. ქვემოთ წარმოგიდგენთ გამოკითხვის შედეგების ანალიზს საკვლევი საკითხების მიმართულებების მიხედვით.

#### 3.1. სკოლის მოსწავლეთა მომზადება, შესაბამისობა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და 21-ე საუკუნის უნარების განვითარება

უნდა აღინიშნოს, რომ მეთორმეტკლასელთა თვითშეფასება საკმაოდ მაღალია ყველა მიმართულებით, როგორც ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან მიმართებით (სკოლის მიერ მათი მომზადების თვალსაზრისით), ისე - 21-ე საუკუნის ისეთი უნარების განვითარების მიმართულებით, როგორიცაა სწავლის, კომუნიკაციის, ცხოვრებისეული, ინფორმაციული და ტექნოლოგიური წიგნიერების უნარები და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასება ყველა თვალსაზრისით მაღალი აქვთ და მეთორმეტკლასელები შეეცადნენ საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების გადაჭარბებულად წარმოდგენას, კვლევის მონაცემები იძლევა სხვადასხვა მიმართულებით გარკვეული ტენდენციების აღმოჩენის შესაძლებლობას.


კვლევის ფარგლებში მეთორმეტკლასელ მოსწავლეებს ვთხოვეთ შეეფასებინათ ისე მნიშვნელოვანი სწავლისა და ცხოვრებისეული უნარები, როგორიცაა ლიდერობა, გუნდში მუშაობა, პრობლემების გადაჭრის უნარი, ინიციატივიანობა, კრიტიკული, კრეატიული და ლოგიკური აზროვნება. მოსწავლეების შეფასება 6-ქულიან სკალაზე სამ ქვეჯგუფში გადანაწილდა: დაბალი თვითშეფასება, საშუალო თვითშეფასება და მაღალი თვითშეფასება. ყველაზე ზემოთჩამოთვლილ უნარებში მოსწავლეთა უმეტესობამ მაღალი თვითშეფასება გამოამჟღავნა, თუმცა ყველა ზემოთჩამოთვლილ უნართაგან ლიდერობისა და კრიტიკული

აზროვნების უნარები ყველაზე დაბალი თვითშეფასებით გამოირჩა სხვა უნარებთან შედარებით, რაც გვაძლევს ტენდენციის დანახვის საშუალებას, რომ მოსწავლეებში მათივე თვითშეფასების ლიდერობისა და კრიტიკული აზროვნების უნარები ყველაზე ნაკლებადაა განვითარებული სწავლისა და ცხოვრებისეულ სხვა უნარებთან შედარებით. დეტალური ინფორმაციის ნახვა ამ მიმართულებით მოსწავლეთა თვითშეფასების შესახებ ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზეა შესაძლებელი.




**დიაგრამა 2. სწავლისა და ცხოვრებისეული უნარების მოსწავლეთა თვითშეფასება**

კითხვარი მოიცავდა შეკითხვებს, რომლებიც უკავშირდებოდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში ჩამოყალიბებულ მიმართულებებს, თუ როგორი მოქალაქე უნდა აღზარდოს სკოლამ: პატრიოტი, ტოლერანტი, ემპათიური, გარემოს დაცვაზე მზრუნველი, საკუთარი და სხვა ადამიანების უფლებების დაცვაზე ორიენტირებული. შესაბამისად სწორედ ამ მიმართულებებით თვითშეფასება ვთხოვეთ რუსულენოვანი სკოლის მეთორმეტკლასელებს. ისევე როგორც სხვა შემთხვევებში ყველა ამ მიმართულებით მოსწავლეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მალალი თვითშეფასება აჩვენა. მალალი თვითშეფასება ეროვნულ მიზნებთან დაკავშირებულ თვითშეფასებაში სხვადასხვა მიმართულებით მოსწავლეთა 71%-დან 88.8%-მდე აჩვენა, თუმცა ყველაზე დაბალი თვითშეფასება მოსწავლეებს ჰქონდათ ემპათიურობასა და ტოლერანტობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზე. დეტალური ინფორმაცია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან მიმართების რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეთა თვითშეფასების შესახებ ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაშია მოცემული:



**დიაგრამა 3. მოსწავლეთა თვითშეფასება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისობა**


კიდევ ერთი მიმართულება, რაშიც გვაინტერესებდა მოსწავლეთა თვითშეფასება, კომუნიკაციასთან დაკავშირებული მათი უნარები გახლდათ. ამ თვალსაზრისით, მოსწავლეებს თვითშეფასება ვთხოვეთ წერიტი და ზეპირი კომუნიკაციის, დისკუსიებში მონაწილეობის, დებატებში მონაწილეობისა და საჯარო გამოსვლების თვალსაზრისით. ამ მიმართულებითაც მოსწავლეები ძირითადად მაღალ თვითშეფასებით გამოირჩევიან, თუმცა საინტერესო ტენდენციები ამ თვალსაზრისითაც გამოიკეთა. კერძოდ, კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეებს ყველაზე დაბალი თვითშეფასება დებატებში მონაწილეობის უნარის თვალსაზრისით აქვთ. მხოლოდ მოსწავლეთა 39,7% მიიჩნევს თავს ამ თვალსაზრისით მაღალ საფეხურზე მყოფად, ხოლო მოსწავლეთა 60%-ზე მეტს დაბალი და საშუალო თვითშეფასებაა აქვთ. სხვა კომუნიკაციის უნარებიდან საჯარო გამოსვლის უნარი არის დებატებში მონაწილეობის უნარის შემდგომ ყველაზე დაბალი თვითშეფასებით გამორჩეული. დეტალური ინფორმაცია კომუნიკაციის უნარებთან მიმართებით რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეთა თვითშეფასების შესახებ ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაშია მოცემული:






**დიაგრამა 4. მოსწავლეთა თვითშეფასება კომუნიკაციის უნარები**

კვლევის ფარგლებში აგრეთვე დავინტერესდით 21-ე საუკუნის ისეთი კომპეტენციებით, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამჭოლი კომპეტენციების სახით არის წარმოდგენილი და რომელიც უკავშირდება ტექნოლოგიურ წიგნიერებას და ტექნოლოგიების გამოყენებას. ამ თვალსაზრისით, მოსწავლეებს ტექნოლოგიების გამოყენება ოთხი მიმართულებით შევაფასებინეთ: (1) ტექნოლოგიების გამოყენება ყოველდღიურობაში; (2) ტექნოლოგიების გამოყენება სწავლის პროცესში; (3) ტექნოლოგიები ინფორმაციის მოძიებისთვის; (4) ტექნოლოგიები ინფორმაციის დამუშავებისთვის. ამ მიმართულებითაც მოსწავლეთა უმრავლესობას მაღალი თვითშეფასება გააჩნია, თუმცა აქაც თვალსაჩინო განდა ტენდენცია, რომ ტექნოლოგიებს ყველაზე ნაკლებად სწავლის პროცესისთვის იყენებენ. აღნიშნული მნიშვნელოვანი მიგნებაა, მიუხედავად იმისა, რომ კვლევა პანდემიის პერიოდს დაემთხვა, სწავლისას ტექნოლოგიების გამოყენების პროცენტი ყველაზე დაბალი აღმოჩნდა სხვა კომპონენტებთან შედარებით. დეტალური ინფორმაცია ტექნოლოგიების გამოყენებასა და ტექნოლოგიურ წიგნიერებასთან მიმართებით რუსულენოვანი სკოლის მეთორმეტკლასელ მოსწავლეთა თვითშეფასების შესახებ ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაშია მოცემული:



**დიაგრამა 5. მოსწავლეთა თვითშეფასება ტექნოლოგიური წიგნიერება**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი თვითშეფასებისთვის, რომელსაც კითხვარი მოიცავდა, ინფორმაციულ და მათემატიკურ წიგნიერებას უკავშირდებოდა. ამ მიმართულებით მეთორმეტკლასელმა მოსწავლეებმა შეაფასეს საკუთარი რიცხვთა ანალიზის, მონაცემთა მოძიების, ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, ანალიზისა და სინთეზის უნარები. ამ მიმართულებებით რაიმე სახის მნიშვნელოვანი განსხვავება და ტენდენცია არ დაფიქსირებულა და მოსწავლეთა უმრავლესობა მაღალ თვითშეფასებას აძლევს საკუთარ თავს მათემატიკური და ინფორმაციული წიგნიერების თვალსაზრისით. დეტალებისთვის იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა.




დიაგრამა 6 . მოსწავლეთა თვითშეფასება ინფორმაციული და მათემატიკური წიგნიერება

**3.2. ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია, ენობრივი კომპეტენციები და ინტეგრაციის ხარისხი**

კვლევის ფარგლებში საინტერესო იყო გაგვეჩვენა რუსულენოვანი სკოლების მოსწავლეთა ეთნიკური თვითიდენტიფიკაციის, აგრეთვე - მათი მშობლიური ენის საკითხი და ის, თუ რამდენად იყო თანხვედრაში ეთნიკურობა და ლინგვისტური ფონი. ამავე დროს, გვინტერესებდა მოსწავლეთა თვითშეფასება მათი მშობლიური ენის კომპეტენციების, რუსულის, როგორც სწავლების ენის, ქართულის, როგორც სახელმწიფო ენისა და უცხო ენის ცოდნის თვალსაზრისით. ამასთან ერთად, კვლევისთვის საინტერესო იყო საზოგადოებაში მათი ინტეგრირების ხარისხი. შესაბამისად, კითხვარის ეს ნაწილი სწორედ ამ საკითხების წარმოჩენისთვის იყო განკუთვნილი.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსულენოვანი სკოლის მეტორმეტეკლასელებში ეთნიკურად რუსი მოსწავლეთა რაოდენობა საკმაოდ დაბალია და ის მხოლოდ 3.2%-ს შეადგენს. ყველაზე მაღალია ეთნიკურად სომეხი მოსწავლეების რაოდენობა 34% და შერეული ქართველი-სომეხი ეთნიკური ჯგუფის რაოდენობა 15%. ეთნიკურად აზერბაიჯანელები მოსწავლეთა 18%-ს შეადგენენ, ხოლო ეთნიკური ქართველები 14.9%-ს. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაში.




დიაგრამა 7. მოსწავლეთა ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია



**რუსულენოვანი სკოლების საგანმანათლებლო ჰოზიციონირება მეთორმეტეკლასელთა შესაძლებლობებისა და პერსპექტივების ხედვის კონტექსტში 2020-21**

უნდა აღინიშნოს, რომ რუსულენოვანი სკოლების მეთორმეტეკლასელთა ეთნიკური კუთვნილება არ ემთხვევა მათ ლინგვისტურ ფონს და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მოსწავლეებს განსხვავებული მშობლიური ენა აქვთ. მეთორმეტეკლასელ მოსწავლეთა მხოლოდ 32% ასახელებს რუსულს მშობლიურ ენად, შესაბამისად, მოსწავლეთა 68%-ისთვის სწავლების ენა არ წარმოადგენს მშობლიურ ენას, მეთორმეტეკლასელთა 25%-ისთვის მშობლიური ენა სომხურია, 21%-ისთვის - აზერბაიჯანული, ხოლო 16%-ისთვის - ქართული. დეტალური ინფორმაცია მოსწავლეთა მშობლიური ენის შესახებ იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკში.



**დიაგრამა 8. მოსწავლეთა მშობლიური ენა**


ამასთან, მშობლიური ენის მიხედვით მოსწავლეების გადანაწილება რეგიონულ ქრილში არაერთგვაროვანია აზერბაიჯანულ- და სომხურენოვანი მოსწავლეებისათვის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში კარგად იკვეთება, რომ აზერბაიჯანული, როგორც მშობლიური ენა რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეებში ქვემო ქართლშია კონცენტრირებული და მხოლოდ მცირე, 2 და 4%-ით არის წარმოდგენილი კახეთსა და თბილისში. სომხურენოვანი მოსწავლეების ნახევარი თბილისში მდებარე რუსულენოვან სკოლებში სწავლობს, 8% აჭარაში, 6% ქვემო ქართლში, 2% კახეთში და 29% კი, სამცხე-ჯავახეთში.

	აჭარა	იმერეთი	კახეთი	ქვემო ქართლი	სამეგრელო და ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	თბილისი
<b>აზერბაიჯანული</b>	0%	0%	2%	92%	0%	0%	4%
<b>სომხური</b>	8%	0%	2%	6%	0%	29%	50%

**ცხრილი 17. მოსწავლეთა მშობლიური ენა რეგიონების მიხედვით**

რუსულენოვანი სკოლებში არსებული ეთნიკური და ლინგვისტური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, გვინტერესებდა მეთორმეტკლასელთა თვითშეფასება მათი ენობრივი კომპეტენციების შესახებ და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხარისხი. მოსწავლეთა უმეტესობა მაღალ შეფასებას აძლევს საკუთარ ენობრივ კომპეტენციებს როგორც მშობლიურ, აგრეთვე სწავლების, სახელმწიფო და უცხო ენებში, თუმცა ეს თვითშეფასება განსხვავებულია ენებს შორის, ისევე, როგორც ენობრივ უნარებს შორის. დეტალურად წარმოგიდგინებთ თითოეულ ენასთან და ენობრივ კომპეტენციასთან მიმართებით მეთორმეტკლასელთა თვითშეფასებას.

მშობლიურ ენაში მოსწავლეებს აქვთ მაღალი თვითშეფასება ენობრივი კომპეტენციების თვალსაზრისით, თუმცა მკვეთრი განსხვავება მოსმენასა და ლაპარაკს და წერასა და კითხვას შორის არსებულ თვითშეფასებაში. წერასა და კითხვის თვალსაზრისით შედარებით დაბალ თვითშეფასებას ამჟღავნებენ მოსწავლეები, ვიდრე მოსმენასა და ლაპარაკში. შესაბამისად, თვალსაჩინოა, რომ კოგნიტურ-აკადემიური ენობრივი უნარები ნაკლებად აქვთ განვითარებულ მშობლიურ ენაში რუსულენოვანი სკოლების მეთორმეტკლასელებს.




**დიაგრამა 9. მოსწავლეთა თვითშეფასება მშობლიურ ენაში ენობრივი უნარების მიხედვით**

ამავე დროს საინტერესოა მშობლიურ ენაში კომპეტენციების ენების მიხედვით არსებული მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ ქართული, სომხური და აზერბაიჯანული, როგორც მშობლიური ენების ცოდნის თვითშეფასება რუსულენოვანი სკოლების მეთორმეტკლასელებში. აქაც ტენდენცია სამივე ჯგუფში ერთნაირია, წერისა და კითხვის ენობრივი უნარები შედარებით დაბალი თვითშეფასებითაა შეფასებული ვიდრე მოსმენისა და ლაპარაკის ენობრივი უნარები. თუმცა უნდა აღინიშნოს ენებს შორის დაფიქსირებული განსხვავებები. სომხურენოვანი მოსწავლეების თვითშეფასება ყველაზე დაბალი წერისა და კითხვის მიმართულებით. მაგალითად წერის კომპონენტში მოსწავლეთა 48.2% საკუთარ ენობრივ კომპეტენციებს დაბალ და საშუალო დონეზე აფასებს. რაც შეეხება


**რუსულენოვანი სკოლების საგანმანათლებლო პროცესში მეთოდოლოგიური და პედაგოგიური ცვლილებებისა და პერსპექტივების ხედვის კონტექსტში 2020-21**

აზერბაიჯანულენოვან მოსწავლეებს ანალოგიური წერის მაჩვენებელში 31.1. % აფასებს საკუთარ ენობრივ კომპეტენციას წერაში, როგორც დაბალს ან საშუალოს, ქართველ მოსწავლეებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 12.7%. ამ მონაცემებით სამი რამ თვალსაჩინოა. (ა) ყველა ეთნიკური ჯგუფისთვის მშობლიურ ენაში წიგნიერების ენობრივი უნარები ყველაზე დაბალი ცოდნით ფასდება; (ბ) ყველა ეთნიკურ ჯგუფში წერის ენობრივი უნარი ყველაზე ნაკლებად არის შეფასებული; (გ) სომხურენოვანი მოსწავლეები ყველაზე დაბალ თვითშეფასებას ამჟღავნებენ მშობლიურ ენაში, განსაკუთრებით წერისა და კითხვის მიმართულებით. დეტალებისთვის იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა.




**დიაგრამა 10. მოსწავლეთა თვითშეფასება მშობლიურ ენაში ენობრივი უნარების მიხედვით სომხური აზერბაიჯანული და ქართული ენები**

მშობლიურ ენაში კომპეტენციების გარდა, კვლევის ფარგლებში გამოვიკვლიეთ მოსწავლეთა თვითშეფასება სწავლების ენასთან ანუ რუსულ ენასთან მიმართებით. რუსულ ენაში თვითშეფასება მოსწავლეებს მაღალია აქვთ ყველა ენობრივ კომპეტენციაში. რუსულ ენაში წერის ენობრივი კომპეტენცია ყველაზე დაბალი თვითშეფასებით ხასიათდება, თუმცა მისი მაჩვენებელიც მაღალია. რაც შეეხება ენობრივ ჯგუფებს შორის განსხვავებებს, აქ მკვეთრი განსხვავებები არ ფიქსირდება, თუმცა სომხურენოვან მოსწავლეებს რუსულ ენაში უფრო მაღალი თვითშეფასება აქვთ ვიდრე აზერბაიჯანულენოვან და ქართულენოვან მოსწავლეებს. დეტალებისთვის იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა.



**დიაგრამა 11. მოსწავლეთა თვითშეფასება რუსულ ენაში ენობრივი უნარების მიხედვით**

ენობრივი კომპეტენციების თვალსაზრისით, კვლევის ფარგლებში გამოვიკვლიეთ სახელმწიფო ენის ცოდნასთან დაკავშირებული მდგომარეობაც და მოსწავლეთა თვითშეფასება ამ თვალსაზრისით. საინტერესოა, რომ მოსწავლეებს ამ თვალსაზრისით ნაკლები თვითშეფასება აქვთ რუსულ ენასთან შედარებით და დაახლოებით თანაბარი შეფასება - მშობლიურ ენასთან. აქვე აღსანიშნავია, რომ ქართულის, როგორც მეორე ენაში წერის ენობრივ უნართან ერთად, რომელიც ყველაზე დაბალი თვითშეფასებით არის ყველა ენაში, იკვეთება ლაპარაკის უნარის ყველაზე დაბალი თვითშეფასება, რაც სხვა ენებთან მიმართებით არ ვლინდება. დეტალური ინფორმაცია ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ენობრივი უნარების თვითშეფასების შესახებ ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაშია წარმოდგენილი.




**დიაგრამა 12. მოსწავლეთა თვითშეფასება ქართულ როგორც მეორე ენაში ენობრივი უნარების მიხედვით**

სახელმწიფო ენის ფლობის თვალსაზრისით, საინტერესოა, არის თუ არა განსხვავება სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან და რუსულენოვან მოსწავლეებში. საინტერესოა, რომ


**რუსულენოვანი სკოლების საგანმანათლებლო ჰოზიციონირება მეორემეტყვასელთა შესაძლებლობებისა და პერსპექტივების ხედვის კონტექსტში 2020-21**

სამივე ჯგუფში წერისა და ლაპარაკის უნარები ყველაზე დაბალი თვითშეფასებით გამოირჩევა. ამასთანავე, აზერბაიჯანულენოვან მოსწავლეებს უფრო დაბალი თვითშეფასება აღმოაჩნდათ ქართულ ენაში საკუთარი ენობრივი კომპეტენციების შესახებ, ვიდრე სომხურენოვან და რუსულენოვან მოსწავლეებს. აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეების თითქმის ნახევარი საკუთარ ენობრივ კომპეტენციებს ქართული ენის წერასა და ლაპარაკში დაბალ ან საშუალო დონეზე აფასებს. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში:




**დიაგრამა 13. მოსწავლეთა თვითშეფასება ქართულ როგორც მეორე ენაში ენობრივი უნარების და მოსწავლეთა მშობლიური ენის მიხედვით**

რეგიონების მიხედვით ანალიზმაც საინტერესო სურათი გვაჩვენა. რეგიონალურ ქრილშიც ქართულის, როგორც მეორე ენის თვალსაზრისით ყველაზე დაბალი შეფასება ლაპარაკის ენობრივ უნარს აქვს, რასაც წერის უნარი მოსდევს და ეს ტენდენცია ერთნაირია ყველა რეგიონისთვის. რეგიონთაშორის სხვაობას რაც შეეხება, ქართულ ენაში შედარებით დაბალი თვითშეფასებაა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში - თბილისთან და აჭარასთან შედარებით. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა ლაპარაკის უნართან მიმართებით. სამცხე-ჯავახეთში მოსწავლეთა 52.4% საკუთარ ლაპარაკის კომპეტენციას დაბალ და საშუალო დონეზე აფასებს, ქვემო ქართლში იგივე მონაცემი ასევე მაღალია და 46.8%-ს შეადგენს. ეს მონაცემი აგრეთვე გვაძლევს შესაძლებლობას, განვსაზღვროთ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების თვალსაზრისით რუსულენოვან სკოლებში არსებული ჩავარდნები ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში:



**დიაგრამა 14. მოსწავლეთა თვითშეფასება ქართულ როგორც მეორე ენაში ენობრივი უნარების და რეგიონების მიხედვით**


კვლევის ფარგლებში აგრეთვე დავინტერესდით, თუ რომელ გარემოში დაეუფლნენ რუსულენოვანი სკოლის მეთორმეტკლასელები ქართულის, როგორც მეორე ენის კომპეტენციებს. კვლევისათვის მნიშვნელოვანი საკითხი იყო რუსულენოვანი სკოლის გავლენა ქართული ენის შესწავლისას და ამ თვალსაზრისით მოსწავლეთა შეფასება. მოსწავლეთა 34.7% საკუთარ ენობრივ უნარებს ქართულში სწორედ სკოლაში მიღებულ ცოდნას უკავშირებს. თემის და მეგობრებთან ურთიერთობით ენის შესწავლას მოსწავლეთა 21% მიუთითებს, მოსწავლეთა 12% აღნიშნავს, რომ ენა რეპეტიტორის დახმარებით შეისწავლა. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:



**დიაგრამა 15. ქართულის როგორც მეორე ენის შესწავლა სხვადასხვა გარემოში**

**რუსულენოვანი სკოლების საგანმანათლებლო პოზიციონირება მეთორმეტკლასელთა შესაძლებლობებისა და პერსპექტივების ხედვის კონტექსტში 2020-21**

რადგან მოსწავლეთა 34.7% -მა მიუთითა, რომ ქართულის ენობრივი კომპეტენციები სკოლაში განივითარეს, ჩვენ დავინტერესდით კონკრეტულად ამ მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციების თვითშეფასებით - ანუ, როგორ აფასებენ საკუთარ ენობრივ კომპეტენციებს ქართულ ენაში, რომელსაც თვლიან, რომ მხოლოდ და მხოლოდ სასკოლო განათლების შედეგად შეიძინეს. ანალიზმა აჩვენა, რომ ამ მოსწავლეთა თვითშეფასება მიუყვება ზოგად ტენდენციებს; კერძოდ, წერა და ლაპარაკი, ანუ პროდუცირების უნარები შედარებით დაბალი თვითშეფასებით ხასიათდება მოსმენისა და კითხვის უნარ-ჩვევებთან შედარებით. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის მოსწავლეთა თვითშეფასება დაახლოებით 5%-ით დაბალია ქართულის, როგორც მეორე ენის ენობრივი კომპეტენციების თვითშეფასების მაჩვენებელთან. დეტალური ინფორმაცია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზეა წარმოდგენილი.




**დიაგრამა 16. ქართულის როგორც მეორე ენის თვითშეფასება სკოლაში მიღებული განათლებით**

რუსულენოვანი სკოლის მეთორმეტკლასელებმა თვითშეფასება გააკეთეს აგრეთვე მათთვის პირველ უცხო ენაში, რომელსაც სწავლობდნენ სკოლაში. ამ თვალსაზრისითაც პროდუცირების უნარებს უფრო დაბალი თვითშეფასება ჰქონდა რეცეფციულ უნარებთან შედარებით. ამასთანავე, უცხო ენაში ენობრივი კომპეტენციების თვითშეფასება ჩამორჩებოდა სხვა ენებში ენობრივი კომპეტენციების თვითშეფასებას. საინტერესო იყო რეგიონალური პრინციპით არსებული ვითარება, რადგან საქართველოს რეგიონებში უცხო ენის მასწავლებელთა დეფიციტია, რის გამოც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის სპეციალური პროგრამაც მოქმედებს და, ამასთანავე, უცხო ენაში რეგიონების დაბალი შედეგები დასტურდება მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებულ კვლევებშიც (ჩახაია, 2018, ჩანქსელიანი, გორგოძე, ჯანაშია 2020). რეგიონების მიხედვით პროდუცირების უნარები შედარებით დაბალი თვითშეფასებით გამოირჩევა. ასევე, აღსანიშნავია, რომ ყველაზე დაბალი თვითშეფასება ქვემო ქართლის რეგიონის მოსწავლეებს აქვთ და ის საკმაოდ დაბალი და ცალსახაა ქვემო ქართლის რეგიონში რუსულენოვან სკოლებში ინგლისური ენის ათვისებასთან დაკავშირებული



**რუსულენოვანი სკოლების საგანმანათლებლო პოზიციონირება მეტორმეტეკლასელთა შესაძლებლობებისა და პერსპექტივების ხედვის კონტექსტში 2020-21**

სავარაუდო პრობლემები. თბილისსა და სამცხე-ჯავახეთში მეტ-ნაკლებად თანაბარი თვითშეფასება აქვთ მოსწავლეებს, ხოლო ყველაზე მაღალი თვითშეფასება ინგლისური ენის თვალსაზრისით აჭარის რეგიონში გამოიკვეთა. დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე.



**დიაგრამა 17. უცხო ენის ენობრივი კომპეტენციების თვითშეფასება რეგიონების მიხედვით**

შეჯამების სახით რამდენიმე საინტერესო ტენდენციაზე შეგვიძლია ვისაუბროთ ენობრივ კომპეტენციებთან დაკავშირებით:

- (1) მშობლიური ენის კომპეტენციებთან დაკავშირებით წერისა და კითხვის უნარები შედარებით დაბალი თვითშეფასებით ხასიათდება რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეების მიერ;
- (2) რუსულ ენაში წერის ენობრივი კომპეტენციების თვითშეფასება ყველაზე მაღალია სხვა ენებთან შედარებით; თუმცა, ენობრივ კომპეტენციებს შორის ყველაზე დაბალი თვითშეფასება წერის მიმართულებითაა. ენობრივ ჯგუფებს შორის მკვეთრი განსხვავებები არ ფიქსირდება, თუმცა სომხურენოვან მოსწავლეებს რუსულ ენაში უფრო მაღალი თვითშეფასება აქვთ, ვიდრე აზერბაიჯანულენოვან და ქართულენოვან მოსწავლეებს;
- (3) ქართულში, როგორც მეორე ენაში ყველაზე დაბალი თვითშეფასება იკვეთება ლაპარაკისა და წერის მიმართულებით. ამასთანავე, აზერბაიჯანულენოვან მოსწავლეებს ყველაზე დაბალი თვითშეფასება აქვთ, ხოლო რეგიონალურ ჭრილში - ქვემო ქართლისა




**რუსულენოვანი სკოლების საგანმანათლებლო პროცესის რეორგანიზაცია მეტორმეტკლასელთა შესაძლებლობებისა და პერსპექტივების ხედვის კონტექსტში 2020-21**

და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მოსწავლეებს დაბალი თვითშეფასება აქვთ თბილისისა და აჭარის რეგიონის მოსწავლეებთან შედარებით;

(4) უცხო ენის თვითშეფასება შედარებით დაბალია სხვა ენებთან შედარებით. ამასთანავე, უცხო ენასთან დაკავშირებით უფრო მეტადაა გამოკვეთილი პროდუცირების უნარების ნაკლებად განვითარება. ქვემო ქართლის რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეები მკვეთრად დაბალი თვითშეფასებით გამოირჩევიან უცხო ენის შეფასებისას თბილისისა და სხვა რეგიონის მოსწავლეებთან შედარებით.

ქართული ენის ცოდნა განსაზღვრავს ინტეგრაციის ხარისხს საქართველოს მოქალაქეებში. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში დავინტერესდით რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეების თვითშეფასებით ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის ხარისხითა და ქართველებთან ინტერაქციის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ინტეგრირების დონეს დაბალი და საშუალო შეფასებით აფასებს კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა (52%-მდე), ხოლო რეგიონალური თვალსაზრისით ყველაზე დაბალი თვითშეფასება ინტეგრაციის ხარისხით სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსწავლეებში დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ თბილისის რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეებსაც კი არ ჰქონდათ საკმარისად მაღალი თვითშეფასება ქართულენოვან საზოგადოებაში ინტეგრაციის თვალსაზრისით. დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე:



**დიაგრამა 18. პასუხები დებულებაზე მე სრულად ვარ ინტეგრირებული საქართველოში**

ანალოგიური მდგომარეობაა ქართველებთან ინტერაქციის თვალსაზრისით. აქაც საკმაოდ დაბალია თვითშეფასება და ყველაზე დაბალი კი სამცხე-ჯავახეთში ფიქსირდება.

**3.3. სკოლის შემდგომი გეგმები**

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესო იყო გაგვეჩვენა, სკოლის შემდგომ რა გეგმები აქვთ რუსულენოვანი სკოლების მეტორმეტეკლასელებს. ასევე, გაგვეჩვენა, მე-12 კლასელთა რა სეგმენტია, რომელიც უმაღლესი განათლების მიღებას საზღვარგარეთ გეგმავს და ამ არჩევანის მიზეზები და საფუძვლები დაგვედგინა. შესაბამისად, კითხვარის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ მიმართულებით დასმულ საკითხებზე პასუხის გასაცემად იქნა შედგენილი.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულ მოსწავლეთა დიდი ნაწილი გეგმავს უმაღლესი განათლების მიღებას საქართველოში ან სხვა ქვეყანაში, რაც 68.2%-ია, 6%-ზე მეტი პროფესიული განათლების მიმართულებით გეგმავს საკუთარ მომავალს. საკმაოდ დიდია იმ მოსწავლეთა რიცხვი, დამთავრების შემდგომ საზღვარგარეთ ან საქართველოში დასაქმებას ვინც გეგმავს (13.2%). ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი დეტალურ ინფორმაციას იძლევა მოსწავლეთა სკოლის შემდგომი გეგმების შესახებ:


**ცხრილი 18. სკოლის შემდგომი გეგმები**

სკოლის შემდგომი გეგმები						
		საერთო	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	აჭარა	თბილისი
უმაღლესი განათლება	საქართველო	57.5 %	34.00%	56.50%	55.80 %	62.60%
პროფესიული განათლება	საქართველო	5.90%	4.30%	5.20%	2.30%	7.70%
უმაღლესი განათლება	საზღვარგარეთ	10.7%	25.50%	7.00%	27.9 %	6.60%
სახელობო არაფორმალური		2.7 %	0.00%	1.70%	4.70%	4.40%
საკუთარ მუშაობაში		1.8 %	2.10%	2.60%	0.00%	1.80%
დავიწყებ მუშაობას		4.10%	0.00%	6.10%	4.70%	4.10%
საზღვარგარეთ	წავალ	9.10%	23.40%	8.70%	2.30%	7.10%
სამუშაოდ						
საზღვარგარეთ	წავალ	0.5 %	2.10%	0.00%	2.30%	0.00%
საცხოვრებლად						
სხვა		0.5 %	2.10%	0.90%	0.00%	0.00%
არ ვიცი		0.5 %	2.10%	1.70%	2.30%	0.00%

ზემოთ წარმოდგენილი ცხრილი იძლევა რეგიონებს შორის არსებული განსხვავებების დანახვის შესაძლებლობასაც. სამცხე-ჯავახეთში მაღალია როგორც საზღვარგარეთ სწავლებისთვის, ასევე სამუშაოდ და საცხოვრებლად წამსვლელთა ხვედრითი წილი და ერთობლივად ეს მაჩვენებელი 51%-ს შეადგენს. საზღვარგარეთ სასწავლებლად წამსვლელთა მაჩვენებელი მაღალია აჭარაში და ის 27%-ს აჭარბებს. თბილისსა და ქვემო ქართლში ეს

მაჩვენებელია დაბალია და ამ ორ რეგიონში რუსულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა საქართველოში უმაღლესი განათლების მიღებას გეგმავს.

რაც შეეხება უშუალოდ უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა გადანაწილებას და ამ თვალსაზრისით არსებულ რეგიონალურ განსხვავებებს: კვლევაში მონაწილეთა 68.3% გეგმავს უმაღლესი განათლების მიღებას, ხოლო 31.7%-ს სხვა გეგმები გააჩნიათ. მათ შორის, ვინც არ გეგმავს უმაღლესი განათლების მიღებას, უმრავლესობა საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლას, პროფესიული განათლების მიღებასა და მუშაობის დაწყებას აპირებს. უმაღლესი განათლების მიღება ვისაც სურს, მათ შორის 84%-საქართველოში გეგმავს განათლების მიღებას, ხოლო 16% - საზღვარგარეთ. ეს მაჩვენებელი მკვეთრად განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. სამცხე-ჯავახეთში საზღვარგარეთ განათლების მიღების მსურველთა რაოდენობა 43%-ს შეადგენს, აჭარაში - 34 %-ს, ხოლო ქვემო ქართლში - მხოლოდ 11%-ს და თბილისში - 10%-ს. დეტალური ინფორმაცია ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაშია წარმოდგენილი.



**დიაგრამა 19. უმაღლესი განათლების მსურველთა გადანაწილება საქართველოსა და საზღვარგარეთ განათლების მიღების მსურველთა მიხედვით**

კვლევის ფარგლებში ცალ-ცალკე გამოვიკვლიეთ ის მეთორმეტეკლასელები, რომლებიც საზღვარგარეთ გეგმავენ უმაღლესი განათლების მიღებას და ის მეთორმეტეკლასელები, რომლებიც საკუთარ სამომავლო გეგმებს საქართველოსთან აკავშირებენ. საზღვარგარეთ განათლების მიღების მსურველთა დიდი ნაწილი განათლების მიღებას რუსეთსა და სომხეთში გეგმავს. მცირედია თურქეთისა და აზერბაიჯანის ხვედრითი წილი. რეგიონების მიხედვით სომხეთში უმაღლეს განათლებას გეგმავს სამცხე-ჯავახეთის რუსულენოვანი სკოლების მეთორმეტეკლასელთა უმრავლესობა, ხოლო რუსეთში სწავლის გაგრძელების მსურველები მთელი საქართველოს მასშტაბით გამოიკვეთა, კერძოდ - თბილისი, აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და იმერეთი. რაც შეეხება თურქეთსა და აზერბაიჯანს, ამ მიმართულებით ქვემო ქართლის რუსულენოვანი სკოლის მეთორმეტეკლასელთა მცირე ნაწილის გეგმებია დაკავშირებული.

საინტერესო იყო კვლევის ფარგლებში გაგვეჩვენა, თუ რატომ გადაწყვიტეს უმაღლესი განათლების საზღვარგარეთ და იმ კონკრეტულ ქვეყანაში მიღება. კვლევაში მონაწილე იმ პირების 32 %-მა, რომლებიც საზღვარგარეთ აპირებენ უმაღლესი განათლების მიღებას, დაასახელა ამ ქვეყანაში არსებული უმაღლესი განათლების ხარისხი, 20%-მა ამის მიზეზად უმაღლესში მოხვედრის სიმარტივე დაასახელა, 15 % მიზეზად ამ ქვეყანაში მათი ეთნიკური ჯგუფის უფრო მეტი მიმდებლობას ასახელებს საქართველოსთან შედარებით, ხოლო 10% მიზეზად მათ ენობრივ კომპეტენციას მიუთითებს, რომელიც უფრო მეტად შესაბამისია იმ ქვეყნისთვის ვიდრე საქართველოსთვის.


მისაღებ გამოცდებზე არსებული კვოტირების სისტემა სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი აბიტურიენტებისთვის, არ ვრცელდება რუსულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულებზე. შესაბამისად, დავინტერესდით იმ მეთორმეტკლასელებით, ვინც საზღვარგარეთ გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება. კითხვაზე: გააგრძელებდნენ თუ არა სწავლას ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, თუკი კვოტირების სისტემა მათზეც გავრცელდებოდა, კვლევაში მონაწილე საზღვარგარეთ განათლების მიღების მსურველთა 44%-მა დადებითი პასუხი გასცა, 44%-მა კი უარყოფითი. 12 %-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.

### **3.4 საქართველოში უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებული გეგმები და ტენდენციები**

საინტერესოა, რომ საქართველოს უნივერსიტეტებში ჩაბარების მსურველი მეთორმეტკლასელები საქართველოში მიღებული უმაღლესი განათლების ღირებულებას ყველაზე ხშირად კარიერისათვის აუცილებელ საფეხურად მიიჩნევენ (41.35) ასევე კონცენტრირებულია პასუხები ორ სავარაუდო პასუხს შორის, რომელიც სასურველი სპეციალობის დაუფლების უფრო მეტი შემოსავლისა და დასაქმების პერსპექტივებს (30.2) და უმაღლესი განათლების საფეხურის პროგრამის გავლის აუცილებლობას ასახელებს სასურველი პროფესიის დაუფლებისათვის (13.9%). მეორე მხრივ, საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების აუცილებლობასა თუ სურვილს მეთორმეტკლასელები ყველაზე ხშირად საკუთარ მოქალაქეობას და ქვეყნის უნივერსიტეტის დიპლომის მნიშვნელობას ანიჭებენ (58.7%). გამოკითხულთაგან, 21 მოსწავლე კი საკუთარ არჩევანს საქართველოს უნივერსიტეტებში ნაკლები ფინანსური დანახარჯებით სწავლის შესაძლებლობას უკავშირებს. 22 მოსწავლისათვის ქართულ უნივერსიტეტში ჩაბარება ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირების ეფექტურ საშუალებად განიხილება (8.7%), ხოლო 6.7%-თვის კი არჩევანი ტერიტორიული სიახლოვით და იოლი წვდომით არის განპირობებული.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გამოკითხული მოსწავლეებიდან დაახლოებით ნახევარი, კითხვაზე - „გეგმავთ თუ არა 1+4 პროგრამის ჩაბარებას“ - პასუხობს, რომ არ იციან და მხოლოდ 30%-ზე ცოტა მეტი ამბობს, რომ არ აპირებს.

დიაგრამა 20. 1+4 პროგრამით ჩაბარების გეგმები




რეალურად, თუ მე-12 კლასელების ეთნიკურ კუთვნილებას და მშობლიური ენის სტატისტიკას შევადარებთ, უფრო მეტმა მეთორმეტკლასელმა არ იცის, ისარგებლებს თუ არა კვოტირების საშუალო პოლიტიკით, ვიდრე ამის რეალური საშუალება არსებობს მათთვის. თუ მონაცემებს რეგიონულ ჭრილში გავანალიზებთ, დავინახავთ, არც იმ რეგიონებში, სადაც ეთნიკურად ან ენობრივად სომეხი ან აზერბაიჯანული მოსწავლეები ნაკლებად არიან წარმოდგენილები, 1+4 პროგრამით სარგებლობის გეგმაზე პასუხი „არა“ და „არ ვიცი“-ის შორის ნაწილდება. ქვემო ქართლში 46%-ზე მეტი მეთორმეტკლასელი გეგმავს კვოტირების სისტემის ფარგლებში საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებას, 20% არ გეგმავს, ხოლო 33.4% - მა კი არ იცის, გეგმავს თუ არა. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთს, მეთორმეტკლასელების 75% გეგმავს 1+4 პროგრამით ჩაბაროს ქართულ უნივერსიტეტში, არც ერთი რესპონდენტი არ აცხადებს, რომ არ გეგმავს, მაგრამ მეოთხედი აცხადებს, რომ არ იცის. თუ გავითვალისწინებთ, რომ გამოკითხულ მეთორმეტკლასელებს შორის, რომლებიც საქართველოში აპირებენ ჩაბარებას, და მათი მშობლიური ენა სომხურია, 50% თბილისის სკოლებში სწავლობს, 8% - აჭარაში, 6% ქვემო ქართლში და მხოლოდ 29% სამცხე-ჯავახეთში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კვოტირების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი რუსულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის და მხოლოდ ნაწილობრივ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის სამცხე-ჯავახეთში. რაც შეეხება მოსწავლეებს, რომლებიც მშობლიურ ენად აზერბაიჯანს ასახელებენ, მათი 92% ქვემო ქართლში, 2% კახეთში და 4% თბილისშია გადანაწილებული. 1+4 პროგრამის შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის შესახებ ფაქტს ადასტურებს თვისებრივი კვლევის შედეგებიც, სადაც არც ერთ სამიზნე ჯგუფში კვოტირების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის წვდომა არ დაფიქსირებულა.

	დიახ	არა	არ ვიცი
აჭარა	0.0%	50.0%	50.0%
იმერეთი	0.0%	25.0%	75.0%
კახეთი	0.0%	33.3%	66.7%
ქვემო ქართლი	46.2%	20.0%	33.8%
სამეგრელო და ზემო სვანეთი	0.0%	13.3%	86.7%
სამცხე-ჯავახეთი	75.0%	0.0%	25.0%
თბილისი	9.6%	41.2%	49.1%

ცხრილი 19. 1+4 პროგრამის შესახებ ინფორმაცია

**რუსულენოვანი სკოლების საგანმანათლებლო პოზიციონირება მეთორმეტკლასელთა შესაძლებლობებისა და პერსპექტივების ხედვის კონტექსტში 2020-21**

ჩვენ ასევე საინტერესოდ მივიჩნით მეთორმეტკლასელებისთვის პრიორიტეტული ქართული უნივერსიტეტები და მათი არჩევანის არგუმენტაცია. გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარს არ აქვს უნივერსიტეტებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიღებული. ყველაზე მეტი სტუდენტი თსუ-ში გეგმავს სწავლის გაგრძელებას (17.5%), ხოლო შემდგომი ყველაზე ხშირი არჩევანი კი ილიას უნივერსიტეტია (13.9%). მეთორმეტკლასელების დაახლოებით 10% ტექნიკურ უნივერსიტეტში გეგმავს სწავლის გაგრძელებას.



**დიაგრამა 21. ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარების გეგმები**

რაც შეეხება სხვა „სხვა“ ვარიანტს, რომელსაც გამოკითხულთა 20%-ზე მეტი ირჩევს, არჩევანი საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს საქართველოში არსებულ საჯარო და კერძო უნივერსიტეტების ვრცელ ნუსხას, რომლებიც კონკრეტული სპეციალიზაციით ხასიათდება (სამხატვრო აკადემია, საზღვაო აკადემია, თეატრალური), ასევე ფართო სპექტრის უნივერსიტეტებს, როგორებიცაა რობაქიძე, კავკასიის, შავი ზღვის, თავისუფალი, სან-დიეგოს, აგრარული, ბათუმის სახელმწიფო, ქუთაისის სახელმწიფო. შესაბამისად, შეგვიძლია ვისაუბროთ მოსწავლეების მეტ-ნაკლებ ცნობიერებაზე საქართველოსი არსებული უმაღლესი სასწავლებლების შესახებ და კონკრეტული ნიშნის / ნიშნების მიხედვით არჩევნის გაკეთების ტენდენციაზე.

საგულისხმოა, მოსწავლეების 27%-ზე მეტი, უნივერსიტეტის არჩევასას, მის პრესტიჟულობაზე აკეთებს აქცენტს, ხოლო დაახლოებით მეოთხედი უნივერსიტეტში სწავლის მოხერხებულობაზე საუბრობს. მესამედზე მეტ მოსწავლეს უჭირს დაკონკრეტება.

**დასკვნა**

ამრიგად, სტუდენტების ქართული უნივერსიტეტის არჩევანთან დაკავშირებით, შემდეგი დასკვნების გამოტანა არის შესაძლებელი:

- იმ მეთორმეტკლასელთათვის, ვინც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარებას გეგმავს, დიდი ნაწილისათვის ქართულ უმაღლესში ჩაბარება და ქართული უნივერსიტეტის დიპლომი, საქართველოს მოქალაქეობიდან გამომდინარე, ყველაზე ოპტიმალურ და სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევა და



წარმატებული პროფესიული კარიერისა და დასაქმების შესაძლებლობებთან ასოცირდება.

- იმ მეთორმეტკლასელთათვის, ვინც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარებას გეგმავს, დიდი ნაწილი კვოტირების სისტემით სარგებლობას არ აპირებს ან არ იცის, აპირებს თუ არა. საგულისხმოა, რომ კვოტირების სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით დადებითი პასუხები მაღალია სომხურენოვან მოსწავლეებში განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში. კვოტირების სისტემის გამოყენებას გეგმავს ქვემო ქართლის მოსწავლეთა დიდი ნაწილიც, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარება გადაწყვიტეს.
- მოსწავლეების საკმაოდ დიდ ნაწილს აქვს პრიორიტეტები სასურველ უნივერსიტეტებთან დაკავშირებით, თუმცა არასაკმარისად მკაფიოდ ასახელებენ არგუმენტაციას საკუთარი არჩევნის პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით.

## თავი 4: თვისებრივი კვლევის ანალიზი

ფოკუსჯგუფებიდან ამოღებული ინფორმაცია პირობითად შემდეგ საკითხებად შეიძლება ჩაიშალოს.

### 4.1. განათლების ხარისხის და მასზე მოქმედი ფაქტორები რუსულენოვან სკოლებში

ფოკუსჯგუფებში ჩატარებულმა დისკუსიებმა გამოკვეთა ის არგუმენტები, რომლებიც რუსულენოვან სკოლებში სწავლის მაღალ ხარისხზე ამხვილებს ყურადღებას. პრაქტიკულად, კვლევის ყველა ჯგუფში კეთდება აქცენტები მოსწავლეებისათვის კონკურენტუნარიანი, მრავალმხრივი განათლების მიღების შესაძლებლობებზე. მიუხედავად იმისა, რომ რუსულენოვანი სკოლები აწყდებიან სპეციფიკურ გამოწვევებს სწავლის განხორციელების პროცესში.

მასწავლებელთა მიერ ქართული ენის ფლობა განსხვავებულია რუსულ სექტორზე, და პედაგოგთა ნაწილისათვის ქართულად საუბარი და საკუთარი ცოდნის პრეზენტაცია სირთულეს წარმოადგენს, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ დიდ ნაწილს ჩაბარებული აქვს სასერთიფიკაციო გამოცდები როგორც ზოგად პროფესიულ, ასევე საგნობრივ მეთოდოლოგიაში. დირექტორები საუბრობენ მასწავლებლების მცირე ჯგუფებზე, რომლებიც ენობრივი ბარიერიდან გამომდინარე, ვერ ახერხებენ გამოცდების ჩაბარებას. ზოგადპროფესიული ან საგნობრივი მიმართულებით. მეორე მხრივ, სკოლებში ბევრია მასწავლებელი, რომელიც რუსული სექტორის გარდა, ქართულ სექტორზეც მუშაობს, და ცხადია. თავისთავად ცხადია, ამ მასწავლებლებს ორივე ენაში გააჩნიათ სწავლებისათვის შესაბამისი კომპეტენცია. რუსულენოვანი სკოლის მასწავლებლები რეგულარულად არიან ჩართულები ყველა იმ ღონისძიებაში, რომელიც პროფესიული განვითარებისათვის იგეგმება და ხორციელდება მასწავლებლის სახლის თუ სამინისტროს მიერ.

ძირითადი გამოწვევა რუსულენოვან სკოლებში ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად, სასწავლო მასალის მიუწვდომლობასთან, მოძველებულ სახელმძღვანელოებთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შეუსაბამო რესურსებთან არის დაკავშირებული. ამ კუთხით, სპეციფიკურია რუსულ ენასა და ლიტერატურაში სწავლა-სწავლების განხორციელების პრობლემატიკა; სტანდარტის არარსებობის გამო, მასწავლებლებს უხდებათ გეგმა ქართული ენის მიხედვით თავად შეადგინონ და გაკვეთილების გეგმა თავად შეადგინონ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსწავლეები შესაბამის მასალას იღებენ მასწავლებლისგან და ამასთან მიღებულ ცოდნას მაღალ შეფასებას აძლევენ, თავად მასწავლებლებისათვის სასწავლო რესურსების მოპოვება და შემუშავება სირთულეებთან არის დაკავშირებული. აქვე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ეთნიკური უმცირესობების სკოლებში მშობლიური ენის მასწავლებლებისგან განსხვავებით, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს მიეცათ



საშუალება, რომ საგნობრივი გამოცდა ჩაებარებინათ და პროფესიული სტატუსი აემაღლებინათ, თუმცა არა რუსულ, როგორც მშობლიური ენაში, არამედ როგორც უცხოურ ენაში.

თუ რუსული, როგორც მშობლიური ენის სწავლება დაკავშირებულია სტანდარტის არარსებობასა და, შესაბამისად, სახელმძღვანელოების არარსებობასთან, სხვა საგნებში რუსული სკოლები სრულად მიჰყვებიან ეროვნულ სასწავლო გეგმას, მაგრამ, სახელმძღვანელოებისა და რუსურების სერიოზულ დეფიციტს განიცდიან:

- „ქიმიში იმ სახელმძღვანელოებს ვიყენებ, რომელიც ტრიმესტრული სწავლების დროს არსებობდა“ (მასწავლებელი)
- ჩვენი მასწავლებელი ქიმიში სახელმძღვანელოს არასდროს იყენებდა, თავისი კონსპექტით გვასწავლიდა. წარმოიდგინეთ,, მთელი გაკვეთილი გვიწვდა კარნახით გაკვეთილის ტექსტის ჩაწერა, რომ მერე გაკვეთილის მასალა გვესწავლა (მოსწავლე)

მასწავლებლები ასევე საუბრობენ ე.წ. ბილინგვური სახელმძღვანელოების ენობრივ გაუმართაობაზე, სადაც ტექნიკურ საგნებში ტერმინოლოგია პირდაპირ, სიტყვა-სიტყვით არის ქართულიდან ნათარგმნი და შესაბამისად, ართულებს შინაარსის გაგებას. ამ ტიპის გამოწვევები ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულების საგნებისათვის განსაკუთრებულ სირთულეებს წარმოშობს. მეორე მხრივ, სკოლებს ბოლო 7 წლის მანძილზე ადარ აქვთ საშუალება რუსეთიდან შემოტანილი ალტერნატიული სახელმძღვანელოებით ისარგებლონ.

დისკუსიაში მონაწილე მასწავლებლებისა და დირექტორების ნაწილი ბილინგვური განათლების მოდელს, რომელიც ორენოვანი წიგნების სახით ხორციელდებოდა რუსულენოვან სკოლებში, პოზიტიურად აფასებს და თვლის, რომ ამ მიდგომის საშუალებით, მოსწავლეებს საშუალება ეძლეოდათ ქართული ენა უკეთ აეთვისებინათ. შესაბამისად, გამოწვევებზე საუბრისას, არა სახელმძღვანელოებში გამოყენებული მიდგომის, არამედ ნათარგმნი მასალის ხარისხზე კრიტიკა ფიქსირდება. ორენოვანი სახელმძღვანელოები სერიოზულ პრობლემას იმ მოსწავლეებისათვის წარმოადგენს, ვინც ქართულ ენას არასაკმარისად ფლობს საქართველოში ცხოვრებისა და ქართულ საზოგადოებასთან ურთიერთობის მცირე პერიოდის ან სხვა, მსგავსი ტიპის გამოცდილებიდან გამომდინარე. ამ მოსწავლეებს, ბილინგვური სახელმძღვანელოების ქართული ნაწილის გამოტოვება უწევთ, რაც მათ საგნობრივ ცოდნაზე ნეგატიურად აისახება.

#### **4.2. მოსწავლეების ენობრივი კომპეტენციები**

სახელმწიფო ენის ცოდნის მნიშვნელობასა და აუცილებლობას ხაზს უსვამს დისკუსიის ყველა მონაწილე და მიიჩნევს, რომ რუსულენოვანი სკოლების შერწყმა ქართულენოვან სკოლებთან, ენის ათვისების და ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის პოზიტიური შედეგის მომტანია. მეორე მხრივ, სახელმწიფო ენის ფლობა მნიშვნელოვნად განსხვავებულია რუსულენოვან სკოლებში ადგილმდებარეობის მიხედვით. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ეთნიკური უმცირესობების კომპაქტურად დასახლებული თემებისგან შედგება, სასკოლო განათლება ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო

ენობრივი უნარების საკმარისად განვითარებას სასკოლო განათლების დამამთავრებელი კლასის ეტაპზეც კი.

სწავლის ხარისხზე საუბრისას, აქცენტები კეთდება სკოლის დამთავრებისათვის მისაღებ გამოცდებზე, ქართული ენისა და ლიტერატურის ჩაბარებისათვის არასაკმარის ცოდნაზე, მიუხედავად მასწავლებლების დიდი ძალისხმევისა, რაც აიხსნება სასკოლო პროგრამის ერთიან ეროვნულ გამოცდაზე მოთხოვნილ ცოდნასთან შეუსაბამობით.

*„თუ ამ ბავშვებს სკოლაში ლამის ზღაპრებით ვამთავრებინებთ მეთორმეტე კლასს, მერე ეროვნულ გამოცდაზე რატომ ვთხოვთ იგივე ცოდნას, რასაც ქართულენოვან სკოლადამთავრებულებს“? ან რატომ არ უნდა სწავლობდნენ ჩვენი ბავშვები ილიას, გამსახურდიას თუ საქართველოში ცხოვრობენ? (სკოლის დირექტორი)*

*„თუ ვინმე კი აბარებდა ჩვენი სკოლიდან და ვერ მოხვედრილა ქართულ უნივერსიტეტში, ყოველთვის ქართულის გამოცდის გამო. ვიხსენებ, და ვერ გამიხსენებია შემთხვევა, როდესაც სკოლადამთავრებულებიდან რომელი სხვა საგანში ჩაჭრილიყოს“ (სკოლის დირექტორი)*

რაც შეეხება სხვა საგნებში ეროვნული გამოცდებისათვის მომზადებას, შინაარსობრივი მხარე მოსწავლეებს მეტწილად კარგად აქვთ დაძლეული, თუმცა, მომზადება მაინც სჭირდებათ საგნობრივი ტერმინოლოგიის ქართულად გამართვისათვის. შესაბამისად, ფოკუსჯგუფების მონაწილეები საუბრობენ მოსწავლეების მაღალ აკადემიურ მომზადებაზე, რომელსაც მასწავლებლების ძალისხმევით, დამატებითი რესურსების გამოყენებით და დაუდალავი შრომით აღწევენ.

საგულისხმოა, რომ რუსულენოვან სკოლებში, მოსწავლეების უმეტესი ნაწილისათვის, რუსული ენა არ არის მშობლიური. პირველ კლასში ბევრი ისეთი მოსწავლე ირიცხება, ვინც რუსული პრაქტიკულად არ იცის. შესაბამისად, განათლების დაწყებით ეტაპზე, სწავლა-სწავლების პროცესში ენობრივი სირთულეები წარმოიშვება. თუმცა, ეტაპობრივად, მოსწავლეები ახერხებენ ენობრივი ბარიერის დაძლევას და სკოლის დამთავრებისათვის, რუსულ ენაში ბარიერი სრულად მოხსნილია და რუსულ ენაზე სწავლა არც მოსწავლეებისთვის და არც მასწავლებლებისათვის პრობლემას აღარ წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეების მშობლები უმეტესად თავად ფლობენ ენას და შეუძლიათ დახმარება აღმოუჩინონ შვილებს სწავლის პროცესში. მეორე მხრივ, მოსწავლეებისათვის, რომელთათვისაც არც რუსული და არც ქართული ენა არ არის მშობლიური, პირველ კლასში, დიდ სტრესთან არის დაკავშირებული სამი უცხო ენის, რუსულის, ქართულისა და ინგლისურის შესწავლის ერთდროულად დაწყება. მასწავლებლები და დირექტორები საუბრობენ იმ სტრესსა და მოტივაციის შემცირებაზე, რომელიც ამ მოსწავლეებთან მუშაობის პრაქტიკაში შეხვედრიათ.

#### **4.3. ეთნიკური ურთიერთობები და მრავალფეროვნების მართვა**

კვლევამ გამოავლინა რადიკალურად განსხვავებული სურათი, როგორც ეთნიკური მრავალფეროვნების, რომელიც სკოლის ადგილმდებარეობით არის განპირობებული, ასევე მისი მართვის თვალსაზრისითაც. თბილისის, რუსთავისა და ბათუმის სკოლები ეთნიკური

მრავალფეროვნებით გამოირჩევიან და მოსწავლეების კონტიგენტი ხშირად 20-მდე სხვადასხვა ეროვნების მოსწავლისაგან შედგება, მაშინ, როდესაც ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და დასავლეთ საქართველოს ქალაქებში, მოსწავლეების კონტიგენტი მეტწილად ჰომოგენურია. ეს მოცემულობა განაპირობებს სკოლაში არსებულ ურთიერთობების შორის განსხვავებასაც და სკოლის ადმინისტრაციისაგან ასევე მოითხოვს მრავალფეროვნების მართვის განსხვავებულ უნარებსა და მიდგომებს.

მეორე მხრივ, სასკოლო საზოგადოების ჰომოგენურობის მიუხედავად, გამოვლინდა მოსწავლეებსა და მასწავლებლების მხრიდან აშკარა და ფარული რუსოფობიის შემთხვევები, რომლებიც რუსულენოვანი მოსწავლეების ეროვნებაზე ქილიკით, არაობიექტური დამოკიდებულებით ან არასაგაკვეთილო პერიოდში რუსულ ენაზე საუბრის გამო მათი შეურაცხყოფის სახეს იძენს.

*„ერთი მასწავლებელი არასათანადოდ მექცეოდა. მე ვფიქრობ, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ეროვნებით რუსი ვარ. მე არ მიკითხავს სხვებისათვის, რამდენად ამჩნევდნენ ამას, მაგრამ მისი ქცევა იმდენად მკაფიო იყო, რომ ვფიქრობ, სხვებიც შეამჩნევდნენ ამას. ამაზე სხვა დროს არავისთან არ მითქვამს, ეხლა პირველად ვსაუბრობ“. ეს მასწავლებელი ასევე სხვადასხვანაირად ექცეოდა ბიჭებს და გოგონებს. ბიჭები თუ საშინაო დავალებას არ შეასრულებდნენ, ეს ნორმალურ ფაქტად აღიქმებოდა. გოგონებს კი, ბევრად მეტ დავალებას გვაძლევდა. ბიჭები თავისთავს უფლებას აძლევდნენ, რომ გავკრიტიკებინეთ, როდესაც რუსულად ვსაუბრობდით და შენიშვნა მოეცათ, რომ ქართულად უნდა გვესაუბრა. თანაც, ყველა ბიჭი არც იყო ქართველი. საბოლოო ჯამში, ამის გამო, კლასში ორი გუნდი ჩამოყალიბდა - გოგონების ცალკე და ბიჭების ცალკე“. (მოსწავლე)*

*„ქართული ენის სექტორიდან მოსწავლეები დამცინოდნენ, რომ რუსულ სექტორზე ვსწავლობდი. მეუბნებოდნენ, რომ რად გინდა, ოკუპანტის ენაზე რომ სწავლობო. პატარა რომ ვიყავი, ძალიან მწყინდა, თუმცა, მერე, რომ გავიზარდე, აღარ ვაქცევდი მათ უხეშ გამონათქვამებს ყურადღებას“. (მოსწავლე)*

*„მე ვარ ქართველი, თუმცა რუსეთში გავიზარდე. მე მიყვარს საქართველო, იმიტომ რომ ქართველი ვარ. ქართულად ვსაუბრობ, მაგრამ რუსულად უფრო მარტივია ჩემთვის საუბარი. რუსულად რომ ვსაუბრობ, ფიქრობენ, რომ არ მიყვარს ეს ქვეყანა, არადა ძალიანაც მიყვარს. ძალიან ხშირად მეუბნებოდნენ, რომ რუსები ავადმყოფები არიან. მე ხომ ქართველი ვარ, რატომ მეუბნებოდნენ ასე, არ ვიცი. სკოლაშიც ხდება ასე და ქუჩაშიც“. (მოსწავლე)*

დისკუსიამ გამოავლინა სერიოზული ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირებების შემთხვევებიც მოსწავლეებს შორის, რომლის მედიაციისათვის საჭირო გახდა გარე რესურსების მობილიზება. ერთერთ სკოლაში, საერთაშორისო ორგანიზაციამ დაიწყო მუშაობა მრავალფეროვნების მართვაში დახმარებისათვის.

თუმცა, ამავედროულად შეიძლება ვისაუბროთ პოზიტიურ მაგალითებზეც, სადაც სასკოლო საზოგადოების მრავალფეროვნება სკოლაში სხვადასხვა კულტურების შესწავლისა და

პატივისცემის განვითარებისათვის საინტერესოდ და კრეატიულად გამოიყენება, რაც მეტწილად ადმინისტრაციისა და პედაგოგიური კოლექტივის სწორი ხედვების, მრავალფეროვნების მართვის მაღალი კომპეტენციების საშუალებით გახდა შესაძლებელი.

*„არ არსებობს არც ერთი დღესასწაული და დონისძიება, რომელსაც ქართული და რუსული სექტორის მოსწავლეები ცალ-ცალკე აწყობდნენ. ამ დონისძიებებზე ყველა ეროვნება თავისი ისტორიით არის წარმოდგენილი თავისი კულტურით, ენით, ტრადიციებით. აბსოლუტურად ყველა დღეს, რომელიც ჩვენს სკოლაში არსებულ ეთნიკურ ჯგუფს უკავშირდება, აღვნიშნავთ, გარდა რელიგიური დღესასწაულებისა. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი კონტიგენტი ქრისტიანია, არც ჯვარი, არც ხატი არ გვაქვს. ეს თემა დახურულია“. (დირექტორი)*

*„10 წელი სრულდება, რაც ამ სკოლაში ვარ და შემოძლია ზუსტად ვთქვა, რომ არც ერთი შეკამათება არ ყოფილა. ეთნიკური და რელიგიური თემატიკის განხილვა კონფლიქტის პერსპექტივიდან არის დახურული. ბოლო, რაც მახსენდება მოსწავლეებს შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებაა, რომელიც რუსულ-უკრაინული კონფლიქტის დროს, ჩვენს ეთნიკურად რუს და უკრაინელ მოსწავლეებს შორის არსებობდა.“ (დირექტორი)*

*„მრავალფეროვნებას ჩვენს სასარგებლოდ ვიყენებთ. ვცდილობთ, სხვადასხვა კონკურსებში მივიღოთ მონაწილეობა, სადაც ბავშვები თავის განსხვავებული ტრადიციების და ხედვების შეჯერებით ძალიან საინტერესო პროექტებს ქმნიან ერთად. ბევრჯერ გაგვიმარჯვია კიდევაც ყველა სკოლას შორის“. (დირექტორი)*

პოზიტიურ პრაქტიკებს შორის ასევე გაჟღერდა უცხო ქვეყნების სკოლებთან მეგობრობის და მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამების განხორციელების გამოცდილებაც, რომელიც ისტორიულად დაპირისპირებული ნაციების და ეთნოსების წარმომადგენელი მოსწავლეებისათვის სტერეოტიპების რღვევისა და ურთიერთპატივისცემის ჩამოყალიბებისათვის კარგად გამოიყენება.

#### **4.4. რუსულენოვანი სკოლის არჩევანზე მოქმედი ფაქტორები და მოსწავლეების კმაყოფილება**

რუსულენოვანი სკოლის არჩევანი ასევე განსხვავებულია როგორც რეგიონებს შორის, ასევე სასკოლო დონეზეც. ბევრ შემთხვევაში, სკოლის არჩევანი განპიროვნებულია რუსული ენის კარგად ათვისების სურვილით, რაც მიიჩნევა, რომ მოსწავლეებს სამომავლო პერსპექტივებს გაუმჯობესებს დასაქმებისას საქართველოშიც. ამ მოსაზრებას მხარს უმაგრებს სკოლადამთავრებული მოსწავლეების უნივერსიტეტებში ჩარიცხვისა და დასაქმების მაღალი მაჩვენებელიც. შესაბამისად, გარდა რუსული ენის სწავლის სურვილთან ერთად, რიგ შემთხვევებში, ქართულენოვან მოსახლეობაში, რუსულენოვან სკოლაში ბავშვის შეყვანის მთავარი მიზანი უკეთესი განათლების მიღების სურვილია. ეთნიკურად ქართველ მოსწავლეებს შორის, რუსულენოვანი სკოლის არჩევანი ასევე ხშირად არის დაკავშირებული მშობლების საერთაშორისო საქმიანობასთან, როდესაც მათ საერთო ბიზნეს- ინტერესები გააჩნიათ იმ ქვეყნებთან, სადაც რუსული ენის ფლობა კრიტიკულია. ასევე ხშირია, რუსულენოვანი ქვეყნებიდან მაღალ კლასებში მოსწავლეების გადმოსვლის შემთხვევებიც, როდესაც მოსწავლეებისათვის სხვა ენაზე სწავლის გაგრძელება სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ეთნიკურ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის, რუსულენოვანი სასკოლო განათლება ორ ძირითად ფაქტორთან არის დაკავშირებული; რუსულენოვანი განათლების / სკოლის პრესტიჟულობა და განათლების მაღალი ხარისხი. ამავდროულად, ამ შემთხვევაშიც მიიჩნევა, რომ რუსული ენის ჯეროვანი ფლობა სკოლადამთავრებულებს დამატებით შესაძლებლობებს უხსნის ქვეყნის გარეთ დასაქმებისათვის.

რუსულენოვანი სკოლების ის მოსწავლეები, რომლებიც მცირერიცხოვან მოსახლეობას წარმოადგენენ ქვეყანაში, ხშირ შემთხვევაში, ქართული ენის არასაკმარისი ფლობის, სკოლისშემდგომი განათლებისა და დასაქმების ქვეყნის გარე პერსპექტივებთან და გეგმებთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება გვიანი ემიგრანტების შვილებს, რუსულენოვანი სკოლის არჩევანი საქართველოში ცხოვრებასთან დაკავშირებით არამკაფიო გეგმებს, რუსული ენის მიერ მოსახლეობის დიდი პროცენტის დაფარვის, და შესაბამისად, დამატებითი პერსპექტივების გაჩენის სურვილს უკავშირდება.

როგორც უკვე აღინიშნა, რუსულენოვან სკოლაში სწავლა უკავშირდება უფრო მაღალი ხარისხის განათლების მიღებასაც; მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ ქართულენოვან სკოლებში მასწავლებლები ნაკლებად ორიენტირებულები არიან მოსწავლეების შედეგებზე. ამასთან, მათ მიაჩნიათ, რომ რუსულენოვან სკოლებში მუშაობა უფრო საინტერესოდ და მრავალფეროვნად მიმდინარეობს, რაც ბევრად მეტი დამატებითი მასალის გამოყენებით, მასწავლებლების მაღალკვალიფიციურობით და უფრო ფართო სასწავლო პროგრამის არსებობით აიხსნება.

*„ჩვენ ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ვცნობით მსოფლიო ლიტერატურას, რუსულ და უცხოურ კლასიკას, რაც აფართოებს ჩვენს თვალსაწიერს. ქართულ სკოლებში ეს შეუძლებელია“.*

*„ვფიქრობ, კარგია, რომ სამინისტროს წიგნებს ვერ ვშოულობთ და ხშირად ვერ ვიყენებთ. მასწავლებლები თვითონ არჩევენ მასალებს და ამიტომ უფრო საინტერესოდ და სიღრმისეულ მასალას გვაწვდიან“.*

*„ჩემი ბიძაშვილი ქართულ სკოლაში სწავლობს. რომ ვუყურებ მის საშინაო დავალებებს, ჩემი დავალებების ფონზე ბევრად უინტერესოდ და ერთფეროვანია“.*

კვლევამ გამოავლინა რუსულენოვან სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლების განსაკუთრებით მაღალი დისციპლინის, მობილიზაციის და სწავლის მიმართ სერიოზული დამოკიდებულების აღქმაც, რაც, მათი აზრით, რუსულენოვან სკოლებს ქართულენოვანი სკოლებისგან განასხვავებს და უფრო მეტად მიზანზე ორიენტირებულს ხდის. ამის შესაძლო მიზეზად სახელდება რუსულენოვანი სკოლების მიმართ განხორციელებული პოლიტიკა.

*„მასწავლებლები ცდილობენ, რაც შეიძლება კარგად გვასწავლონ. თუ არ ვიქნებით კარგები, სამინისტრო დახურავს სკოლას“ (მოსწავლე)*

საერთო ჯამში, კვლევის ფარგლებში ვლინდება რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეების განსაკუთრებული მაღლიერება, სკოლის, მასწავლებლებისა და დირექციის მიმართ.



*„დედას ჩემი რუსულ სკოლაში შეყვანა ვიღაც ნაცნობმა ურჩია. ახლა მინდა, რომ ამ ნაცნობს დიდი მადლობა გადავუხადო რეკომენდაციისათვის, ხოლო დედაჩემს კი, მისი დაჯერებისათვის“ (მოსწავლე)*

*„დედა რუსულის მასწავლებელია, და რუსულ სკოლაში იმიტომ შემიყვანა, რომ იცოდა, იქ უკეთესად ასწავლიდნენ. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ დედამ სწორედ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მაშინ“ (მოსწავლე)*

#### **4.5. სკოლისშემდგომი გეგმები და უმაღლესი განათლების მიღების პრიორიტეტები**

რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეების 90%-ზე მეტი, განათლების უმაღლეს საფეხურზე სწავლას ქართულ უნივერსიტეტებში გეგმავს. კვლევის მიხედვით, ის მოსწავლეებიც კი, რომლებიც მოგვიანებით ჩამოვიდნენ საქართველოში და დაიწყეს სკოლებში სწავლა, რიგ შემთხვევებში, თავდაპირველ გეგმას ცვლიან და ქართულ უნივერსიტეტებში აპირებენ სწავლას.

ასევე ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც მოსწავლეები სკოლის დამთავრების შემდეგ, მეზობელი ქვეყნების (სომხეთი, აზერბაიჯანი) უნივერსიტეტებში აბარებენ და მოგვიანებით, მობილობის პროგრამის ბრუნდებიან ქართულ უნივერსიტეტებში.

*„მერე ქართულის ჩაბარება ბევრად უმარტივდებათ, და ამიტომ სხვადასხვა გზებს და საშუალებებს იყენებენ, თორემ ქართულ უნივერსიტეტში სწავლას ისინიც გეგმავენ თავიდანვე“ (მასწავლებელი)*

რეალურად, მოსწავლეების საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების სურვილი მეტწილად მშობლების შესაძლებლობებზე და გეგმებზეა დამოკიდებული. მოსწავლეების იმ მცირე ჯგუფში, ვინც სწავლის გაგრძელებას საზღვარგარეთ გეგმავს, ბევრი არა რუსეთში, არამედ ბალტიისპირეთის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში აბარებს უნივერსიტეტებში.

მოსწავლეები, რომლებიც განათლების უმაღლეს საფეხურზე სწავლის დაწყებას საქართველოში გეგმავენ, ქართულენოვანი სკოლის დამთავრებულებთან ერთად მონაწილეობენ ეროვნულ მისაღებ გამოცდებში. ეროვნული გამოცდების ჩაბარებისას, უცხოურ ენად ისინი რუსულ ირჩევენ და პრაქტიკულად ყოველთვის მაღალ ქულებს იღებენ გამოცდაში.

*„რუსულ ენას კარგად იყენებენ ეროვნულ გამოცდებზე ეს ბავშვები. უცხო ენად აბარებენ, მომზადებაც არ ჭირდებათ და უმაღლეს ქულებსაც იმსახურებენ.“ (მასწავლებელი).*

კვოტირების სისტემის შესახებ ინფორმაცია მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და დირექტორებს შორის არაერთგვაროვანია და მის შესახებ ინფორმაცია ქვემო ქართლის რეგიონის სკოლების საზოგადოებისთვის არის მეტ-ნაკლებად ცნობილი. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები, სკოლის დამთავრების შემდეგ, უნარებს მშობლიურ ენაზე აბარებენ და შესაბამისად, სწავლას ქართული ენის პროგრამაზე აგრძელებენ.

*„ერთი შემთხვევა მახსენდება; ერთმა სომეხმა გოგონამ სომხურად ჩააბარა გამოცდა და მაგ პროგრამით მოხვდა. მგონი ერთ წელს კარგავენ და ისე აგრძელებენ სწავლას“ (დირექტორი)*

კვოტირების პოლიტიკის გატარების საჭიროება რუსულენოვან სკოლებში მკაფიოდ არ ისახება, თუმცა მოსწავლეების რეპეტიტორებთან მომზადების საჭიროება, და შესაბამისი თანხების მობილიზება, ასევე სახელდება მე-12 კლასელების გამოწვევებს შორის.

მოსწავლეებისათვის უნივერსიტეტებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს სკოლის მასწავლებლები და რეპეტიტორები წარმოადგენენ. თავად უნივერსიტეტებისგან ინფორმაცია ნაკლებად არის ხელმისაწვდომი მეთორმეტკლასელებისთვის. შესაბამისად, მათი საუნივერსიტეტო არჩევანი მასწავლებლების მოსაზრებებსა და კონსულტაციებს, ოჯახის წევრებისა და ნათესავების რჩევებსა და ზოგად, ხელმისაწვდომ ინფორმაციას ეფუძნება.

*„საქართველოში რომ გადმოვსახლდით, მინდოდა, რომ არქიტექტორი გამოსვლიყავი. ამისთვის ბევრს ვკითხულობდი და ვეშაუდებოდი. მერე კი დედას უთხრეს, რომ ამ პროფესიით სამსახურს ვერ ვიმოვი. ამიტომ გადავწყვიტე, რომ სტომატოლოგიურზე ჩავაბარო“ (მოსწავლე)*

*„ჩემმა მასწავლებელმა მითხრა, რომ ილიაში და ჯავახიშვილში ყველაზე კარგად ასწავლიან. იქ მინდა ჩაბარება ან შავი ზღვის უნივერსიტეტში. ვფიქრობ, რომ ან საინფორმაციო ტექნოლოგიებზე ან ტურიზმზე ჩავაბარო“ (მოსწავლე)*



## დასკვნა

ფოკუსჯგუფების დისკუსიები შემდეგი ტენდენციების დანახვის შესაძლებლობას იძლევა, რომელთა უმეტესობა თანხვედრაშია რაოდენობრივი კვლევის შედეგებთან, კერძოდ::

1. საქართველოში არსებულ რუსულენოვან სკოლებში სწავლის ხარისხი მაღალია, მიუხედავად იმ სპეციფიკური გამოწვევებისა, რომლებიც სასწავლო რესურსების, ენობრივი თავისებურებებისა და მრავალფეროვანი კონტექსტით არის განპირობებული;
2. მე-12 კლასელების ნდობა და კმაყოფილება სკოლის არჩევანით მაღალია სკოლის ადგილმდებარეობის მიუხედავად.
3. მრავალფეროვნებისათვის მზაობა, ისევე, როგორც მისი მართვა - რადიკალურად განსხვავებულია სკოლებში მათი ადგილმდებარეობის და შესაბამისი სასკოლო საზოგადოების, ასევე ადმინისტრაციისა და პედაგოგიკური პროფესიული მზაობის, განწყობებისა და დამოკიდებულებების შესაბამისად;
4. მოსწავლეების უმრავლესობა განათლების გაგრძელებას ქართულ უნივერსიტეტში გეგმავს, მიუხედავად სირთულისა, რომელიც ქართული ენის გამოცდის ჩაბარებასთან არის დაკავშირებული;
5. სკოლის საზოგადოება ვერ ხედავს საშეღავათო პოლიტიკის გატარების გადაუდებელ აუცილებლობას რუსულენოვანი სკოლების მიმართ;
6. მოსწავლეების მშობლიური ენა და ეთნიკური წარმომავლობა განაპირობებს მისაღები გამოცდების პროცესისათვის განსხვავებულ მზადებას და სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებას. ამასთან, ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოსწავლეები მეტწილად გეგმავენ მშობლიურ ენაზე ერთი გამოცდის ჩაბარებას და 1+4 პროგრამის ფარგლებში სწავლის გაგრძელებას.
7. რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეებს არ გააჩნიათ მაღალი ცნობიერება საქართველოს უნივერსიტეტებში არსებული პროგრამების, სხვადასხვა შესაძლებლობების თუ ალტერნატივების შესახებ და არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას სხვადასხვა ინფორმაციული წყაროს, მათ შორის - უნივერსიტეტებიდან ან რესურსცენტრებიდან.

## თავი 5. მიგნებები და რეკომენდაციები

### მიგნებები

#### ზოგადი მიგნებები

- რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეთა მიღწევები შესამჩნევად მაღალია, როგორც საატესტატო, აგრეთვე მისაღები გამოცდების ზოგადი უნარებისა და საერთაშორისო შეფასებების მიხედვით;
- რუსულენოვან სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება არ შეიმჩნევა, მიუხედავად სკოლების და სექტორების მცირე რაოდენობისა სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სკოლებთან შედარებით;
- რუსულენოვანი სექტორების მკვეთრი შემცირება დაფიქსირდა 2010-2011 წლებში, რომლის შემდგომ სკოლებისა და სექტორების რაოდენობა მხოლოდ მცირედით შემცირდა.

#### უნარების თვითშეფასება

- მოსწავლეებში, მათივე თვითშეფასებით, ლიდერობისა და კრიტიკული აზროვნების უნარები ყველაზე ნაკლებადაა განვითარებული სწავლის და ცხოვრებისეულ სხვა უნარებთან შედარებით;
- კომუნიკაციის უნარებიდან საჯარო გამოსვლის უნარი და დებატებში მონაწილეობის უნარი არის ყველაზე დაბალი თვითშეფასებით გამორჩეული;
- ტექნოლოგიური და ინფორმაციული წიგნიერების და ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით მოსწავლეთა თვითშეფასება მაღალია, თუმცა მათივე შეფასებით ტექნოლოგიებს ყველაზე ნაკლებად სწავლის პროცესისთვის იყენებენ.

#### ეთნიკური და ლინგვისტური შემადგენლობა/ინტეგრაციის ხარისხი

- რუსულენოვანი სკოლის მეთორმეტკლასელებში ეთნიკურად რუს მოსწავლეთა რაოდენობა საკმაოდ დაბალია და ის მხოლოდ 3.2%-ს შეადგენს. ყველაზე მაღალია ეთნიკურად სომეხი მოსწავლეების რაოდენობა (34%) და შერეული ქართველი-სომეხი ეთნიკური ჯგუფის რაოდენობა (15%). ეთნიკურად აზერბაიჯანელები მოსწავლეთა 18%-ს შეადგენენ, ხოლო ეთნიკური ქართველები - 14.9%-ს;
- მეთორმეტკლასელ მოსწავლეთა მხოლოდ 32% ასახელებს რუსულს მშობლიურ ენად, შესაბამისად, მოსწავლეთა 68%-ისთვის სწავლების ენა არ წარმოადგენს მშობლიურ ენას, მეთორმეტკლასელთა 25%-ისთვის მშობლიური ენა სომხურია, 21%-ისთვის - აზერბაიჯანული, ხოლო 16%-ისთვის - ქართული.

## რუსულენოვანი სკოლების საგანმანათლებლო პოზიციონირება მეტორმეტკლასელთა შესაძლებლობებისა და პერსპექტივების ხედვის კონტექსტში 2020-21

- ინტეგრირების დონეს დაბალი და საშუალო შეფასებით აფასებს კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა (52%-მდე), ხოლო რეგიონალური თვალსაზრისით, ყველაზე დაბალი თვითშეფასება ინტეგრაციის ხარისხით სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსწავლეებში დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ თბილისის რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეებსაც კი არ ჰქონდათ საკმარისად მაღალი თვითშეფასება ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის თვალსაზრისით.

### ენობრივი უნარების თვითშეფასება

- მშობლიური ენის კომპეტენციებთან დაკავშირებით წერისა და კითხვის უნარები შედარებით დაბალი თვითშეფასებით ხასიათდება რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეებში;
- რუსულ ენაში წერის ენობრივი კომპეტენციების თვითშეფასება ყველაზე მაღალია სხვა ენებთან შედარებით. ენობრივ კომპეტენციებს შორის ყველაზე დაბალი თვითშეფასება წერის მიმართულებითაა. ენობრივ ჯგუფებს შორის მკვეთრი განსხვავებები არ ფიქსირდება, თუმცა, სომხურენოვან მოსწავლეებს რუსულ ენაში უფრო მაღალი თვითშეფასება აქვთ, ვიდრე აზერბაიჯანულენოვან და ქართულენოვან მოსწავლეებს.
- ქართულში, როგორც მეორე ენაში, ყველაზე დაბალი თვითშეფასება იკვეთება ლაპარაკისა და წერის მიმართულებით. ამასთანავე, აზერბაიჯანულენოვან მოსწავლეებს ყველაზე დაბალი თვითშეფასება აქვთ, ხოლო რეგიონალურ ჭრილში ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მოსწავლეებს დაბალი თვითშეფასება აქვთ თბილისისა და აჭარის რეგიონის მოსწავლეებთან შედარებით;
- უცხო ენის თვითშეფასება შედარებით დაბალია სხვა ენებთან მიმართებით. ამასთანავე, უცხო ენასთან დაკავშირებით უფრო მეტად გამოკვეთილი პროდუცირების უნარების ნაკლებად განვითარება. ამასთანავე ქვემო ქართლის რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეები მკვეთრად დაბალი თვითშეფასებით გამოირჩევიან უცხო ენის შეფასებისა თბილისისა და სხვა რეგიონის მოსწავლეებთან შედარებით.

### სკოლის შემდგომი გეგმები

- მოსწავლეთა დიდი ნაწილი გეგმავს უმაღლესი განათლების მიღებას საქართველოში ან სხვა ქვეყანაში, რაც 68.2 %-ია, 6%-ზე მეტი პროფესიული განათლების მიმართულებით გეგმავს საკუთარ მომავალს. საკმაოდ დიდია იმ მოსწავლეთა რიცხვი, დამთავრების შემდგომ საზღვარგარეთ ან საქართველოში დასაქმებას გეგმავს (13.2 %).
- სამცხე-ჯავახეთში მაღალია როგორც საზღვარგარეთ სწავლებისთვის, აგრეთვე სამუშაოდ და საცხოვრებლად წამსვლელთა ხვედრითი წილი და ერთობლივად ეს

**რუსულენოვანი სკოლების საგანმანათლებლო პოზიციონირება მეტორმეტეკლასელთა შესაძლებლობებისა და პერსპექტივების ხედვის კონტექსტში 2020-21**

მაჩვენებელი 51%-ს შეადგენს. საზღვარგარეთ სასწავლებლად წამსვლელთა მაჩვენებელი მაღალია აჭარაში და ის 27%-ს აჭარბებს.

- თბილისსა და ქვემო ქართლში ეს მაჩვენებელი დაბალია და ამ ორ რეგიონში რუსულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა საქართველოში უმაღლესი განათლების მიღებას გეგმავს.
- უმაღლესი განათლების მიღება ვისაც სურს, მათ შორის 84%-საქართველოში გეგმავს განათლების მიღებას, ხოლო 16%-საზღვარგარეთ.
- სამცხე-ჯავახეთში საზღვარგარეთ განათლების მიღების მსურველთა რაოდენობა 43%-ს შეადგენს, აჭარაში 34 %-ს, ხოლო ქვემო ქართლში მხოლოდ 11%-ს და თბილისში - 10%-ს.
- კვლევაში მონაწილე იმ პირების 32 %-მა, რომლებიც საზღვარგარეთ აპირებენ უმაღლესი განათლების მიღებას, მიზეზად დაასახელა ამ ქვეყანაში არსებული უმაღლესი განათლების ხარისხი; 20%-მა ამის მიზეზად უმაღლესში მოხვედრის სიმარტივე დაასახელა, 15%-ი მიზეზად ამ ქვეყანაში მათი ეთნიკური ჯგუფის უფრო მეტ მიმდებლობას ასახელებს საქართველოსთან შედარებით, ხოლო 10% მიზეზად მათ ენობრივ კომპეტენციას მიუთითებს, რომელიც უფრო მეტად შესაბამისია იმ ქვეყნისთვის, ვიდრე საქართველოსთვის.
- ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, თუკი კვოტირების სისტემა მათზეც გავრცელდებოდა. ამ შეკითხვაზე კვლევაში მონაწილე საზღვარგარეთ განათლების მიღების მსურველთა 44%-მა დადებითი პასუხი გასცა, 44%-მა კი უარყოფითი. 12 %-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.
- იმ მეტორმეტეკლასელთათვის, ვინც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარებას გეგმავს, დიდი ნაწილისათვის ქართულ უმაღლესში ჩაბარება და ქართული უნივერსიტეტის დიპლომი, საქართველოს მოქალაქეობიდან გამომდინარე, ყველაზე ოპტიმალურ და სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევა და წარმატებული პროფესიული კარიერისა და დასაქმების შესაძლებლობებთან ასოცირდება.
- იმ მეტორმეტეკლასელთათვის, ვინც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარებას გეგმავს, დიდი ნაწილი კვოტირების სისტემით სარგებლობას არ აპირებს ან არ იცის, აპირებს თუ არა.
- კვოტირების სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით დადებითი პასუხები მაღალია სომხურენოვან მოსწავლეებში განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში. კვოტირების სისტემის გამოყენებას გეგმავს ქვემო ქართლის მოსწავლეთა დიდი ნაწილიც, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარება გადაწყვიტეს.
- მოსწავლეების საკმაოდ დიდ ნაწილს აქვს პრიორიტეტები სასურველ უნივერსიტეტებთან დაკავშირებით, თუმცა არასაკმარისად მკაფიოდ ასახელებენ არგუმენტაციას საკუთარი არჩევნის პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით.

## რეკომენდაციები

- რუსულენოვანი სკოლების მხარდაჭერა არსებული ხარისხის გასაძლიერებლად, მათ შორის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და მომავალი მასწავლებლების მომზადების თვალსაზრისით;
- რუსულენოვან სკოლებში ენობრივი პოლიტიკის რეფორმირება და მულტილინგვურ სკოლებად გარდაქმნა ქართულის, როგორც მეორე ენის და მშობლიური ენის სწავლების მხარდასაჭერად;
- რუსულენოვანი სკოლებისთვის მულტილინგვური განათლების პროგრამის მასწავლებლების მომზადების წახალისება;
- სექტორიანი, ენობრივად გამიჯნული სკოლების, ერთიან მულტილინგვურ სკოლებად ტრანსფორმირება;
- სპეციფიკურ ტერიტორიულ ერთეულებში ენობრივად გამიჯნული რამდენიმე სხვადასხვა სწავლების ენის მქონე მცირეკონტიგენტიანი სკოლების ერთ მრავალენოვან სკოლად გაერთიანება;
- რუსულენოვან სკოლებში არსებული კვოტირების სისტემის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ამ სკოლის მოსწავლეთა ჩართულობის გაძლიერება;
- რუსულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულთათვის სპეციალური პოლიტიკის შემუშავება მათთვის საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობისა და მხარდაჭერისთვის, მათ შორის კვოტირების სისტემის მოდიფიცირებული სისტემის შეთავაზება;
- სამცხე-ჯავახეთში რუსულენოვანი სკოლების მშობლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან მუშაობა საზოგადოების ინტეგრაციის გასაძლიერებლად.

## გამოყენებული ლიტერატურა

- გორგაძე, ნ. & ტაბატაძე, შ. (2019) *1+4 პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობების კვლევა ზოგადი კონტექსტისა და კონკრეტული მაგალითის ანალიზის საფუძველზე*". სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, თბილისი, საქართველო
- გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი (2015) *მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2015: საქართველოს ანგარიში*. მოპოვებულია ვებგვერდიდან: <https://naec.ge/uploads/postData/KVLEVEBI/PISA-2015-angarishi.pdf>
- გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი (2018) *მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2018: საქართველოს ანგარიში*. მოპოვებულია ვებგვერდიდან: [https://naec.ge/uploads/postData/20-21/kvlevedi/PISA2018-Georgia%20\(1\).pdf](https://naec.ge/uploads/postData/20-21/kvlevedi/PISA2018-Georgia%20(1).pdf)
- ტაბატაძე, შ. (2018) *2015-2020 წლების შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური შეფასების დოკუმენტი ენა და განათლება, გამოუქვეყნებელი ნაშრომი*
- ტაბატაძე, შ. (2020) *2015-2020 წლების შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტი ენა და განათლება, გამოუქვეყნებელი ნაშრომი*
- ტაბატაძე, შ. და გორგაძე, ნ. (2016) *ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის შეფასება*. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, თბილისი, საქართველო
- Office of the State Minister of Georgia for Reconciliation and Civil Equality. (2014). *Assessment document on the implementation of the national concept for tolerance and civic Integration and action plan for 2009–2014*. Retrieved from <http://www.smr.gov.ge/docs/doc329.pdf> [Google Scholar]
- Tabatadze, S., & Gorgadze, N. (2013). *Evaluation of the effectiveness of the quota system in Georgia*. Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations. Tbilisi. Georgia.
- Tabatadze, S. and Gorgadze, N. (2017), "Affirmative action policy in admissions system of higher education of post-Soviet Georgia", *Journal of Applied Research in Higher Education*, Vol. 9 No. 3, pp. 363-377. <https://doi.org/10.1108/JARHE-03-2016-0020>
- Tabatadze, S., Gorgadze, N., & Gabunia, K. (2020). *Study of the Higher Education Minority Quota System Policy in Georgia, 2010-2019. Online Submission*.



## ცხრილები

- ცხრილი 1. რუსულენოვანი სკოლები და სექტორები ადგილმდებარეობის მიხედვით;
- ცხრილი 2. რუსულენოვანი სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა კლასების და სქესის მიხედვით;
- ცხრილი 3. რუსულენოვანი სკოლები და სექტორები რეგიონების მიხედვით;
- ცხრილი 4. რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით;
- ცხრილი 5. რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა საფეხურების მიხედვით;
- ცხრილი 6. მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილება 2019 დან 2020 წლებში სწავლების ენის მიხედვით (ცხრილი აღებულია - ტაბატაძე, 2020);
- ცხრილი 7. რუსულენოვანი სკოლები და სექტორები წლების მიხედვით;
- ცხრილი 8. ატესტატმიღებული მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებელი სწავლების ენის მიხედვით (ცხრილი აღებულია ტაბატაძე, 2018);
- ცხრილი 9. გამოცდებზე მე-12 კლასში ჩაჭრილთა პროცენტული მაჩვენებელი (2015-18 წწ.) (ცხრილი აღებულია - ტაბატაძე, 2018)
- ცხრილი 10. გამოცდებზე მე- 11 კლასში ჩაჭრილთა პროცენტული რაოდენობა (2015-18 წწ.) (ცხრილი აღებულია ტაბატაძე, 2018)
- ცხრილი 11. 2015-2017 წწ. მე-12 კლასელთა საშუალო ქულა საგნების მიხედვით (ცხრილი აღებულია - ტაბატაძე, 2018);
- ცხრილი 12. 2015-2017 წწ. მე-11 კლასელთა საშუალო ქულა საგნების მიხედვით;
- ცხრილი 13. ზოგადი უნარების საშუალო ქულა წლებისა და ტესტის ენის მიხედვით 2015-18 წლები;
- ცხრილი 14. საერთაშორისო შეფასებებში მოსწავლეთა მიღწევები სწავლების ენის მიხედვით;
- ცხრილი 15. მე-12 კლასელების პოპულაცია და შერჩევა რეგიონების მიხედვით;
- ცხრილი 16. მე-12 კლასელების შერჩეული პოპულაცია სკოლების მიხედვით;
- ცხრილი 17. მოსწავლეთა მშობლიური ენა რეგიონების მიხედვით;
- ცხრილი 18. სკოლის შემდგომი გეგმები;
- ცხრილი 19. 1+4 პროგრამის შესახებ ინფორმაცია;



## დიაგრამები

დიაგრამა 1. ზოგადი უნარების საშუალო ქულა წლებისა და ტესტის ენის მიხედვით 2010-13 წლები;

დიაგრამა 2. სწავლისა და ცხოვრებისეული უნარების მოსწავლეთა თვითშეფასება;

დიაგრამა 3. მოსწავლეთა თვითშეფასება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისობა;

დიაგრამა 4. მოსწავლეთა თვითშეფასება კომუნიკაციის უნარები;

დიაგრამა 5. მოსწავლეთა თვითშეფასება ტექნოლოგიური წიგნიერება;

დიაგრამა 6 . მოსწავლეთა თვითშეფასება ინფორმაციული და მათემატიკური წიგნიერება;

დიაგრამა 7. მოსწავლეთა ეთნიკური თვითიდენტიფიცირება;

დიაგრამა 8. მოსწავლეთა მშობლიური ენა;

დიაგრამა 9. მოსწავლეთა თვითშეფასება მშობლიურ ენაში ენობრივი უნარების მიხედვით;

დიაგრამა 10. მოსწავლეთა თვითშეფასება მშობლიურ ენაში ენობრივი უნარების მიხედვით სომხური აზერბაიჯანული და ქართული ენები;

დიაგრამა 11. მოსწავლეთა თვითშეფასება რუსულ ენაში ენობრივი უნარების მიხედვით

დიაგრამა 12. მოსწავლეთა თვითშეფასება ქართულ როგორც მეორე ენაში ენობრივი უნარების მიხედვით

დიაგრამა 13. მოსწავლეთა თვითშეფასება ქართულ როგორც მეორე ენაში ენობრივი უნარების და მოსწავლეთა მშობლიური ენის მიხედვით

დიაგრამა 14. მოსწავლეთა თვითშეფასება ქართულ როგორც მეორე ენაში ენობრივი უნარების და რეგიონების მიხედვით

დიაგრამა 15. ქართულის როგორც მეორე ენის შესწავლა სხვადასხვა გარემოში

დიაგრამა 16. ქართულის როგორც მეორე ენის თვითშეფასება სკოლაში მიღებული განათლებით

დიაგრამა 17. უცხო ენის ენობრივი კომპეტენციების თვითშეფასება რეგიონების მიხედვით

დიაგრამა 18. პასუხები დებულებაზე მე სრულად ვარ ინტეგრირებული საზოგადოებაში;

დიაგრამა 19. დიაგრამა 19. უმაღლესი განათლების მსურველთა გადაწილება საქართველოსა და საზღვარგარეთ განათლების მიღების მსურველთა მიხედვით

დიაგრამა 20. 1+4 პროგრამით ჩაბარების გეგმები;

დიაგრამა 21. ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარების გეგმები.